157
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟიგული

1927

სახელგამი

№ 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხული — ბავშკორების შენიშვნებში.

რა აინტერესებს ყველაზე უფრო დღეს ჩვენს მკითხველებს? — აი ის კითხვა, რომელიც უნდა მისცეს თავის თავს თვითეულმა ბავშკორმა.

მრავალ ბავშკორს არც კი შეუძლია ჩამოშორდეს ზამთრის თემებს.

ისინი სწერენ, მაგალითად, თუ რა მიხწევები ჰქონდათ მათ სკოლაში მეორე ტრიმესტრში, მაშინ, როდესაც საზაფხულო არდადეგები უკვე დაიწყო.

ასეთ თემებზე წერა დღეს უკვე დაგვიანებულია.

დღეს უფრო საჭიროა **საზაფხულო მუშაობის საკითხების გაშუქება.** დღეს მკითხველებს უფრო აინტერესებსთ და უფროც საჭიროა საზაფხულო საკითხების გაცნობა.

მუშაობა ბაღში, ბოსტანში, მინდორში, თვითეულ პიონერთა გამოცდილება კულტურულ მეურნეობაში.

ექსკურსიები და გასეირნებანი, თამაშობანი. ფიზკულტურა. მოედნების მოწყობა.

ბანაკისათვის მზადება. მოგვწერეთ, სად მიდიხართ, რა მიგაქვთ, როგორ ფიქრობთ გაატაროთ დრო ბანაკად. საიდან იშოვნეთ საშვალებები ბანაკად წასვლისათვის.

პიონერების და მოწაფეების **საზაფხულო საზოგადოებრივი მუშაობა:** მოედნების გაწმენდა, ხიდების შეკეთება, დახმარება ღარიბ გლეხებს მეურნეობაში.

როგორ მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა წრეები. ჩიტების დაცვა, ბრძოლა მავნებლებთან. შეგროვება მცენარეულობის, მწერების და ქვების კოლექციის. ამინდის მეთვალყურეობა აქვარიუმის და ტერარიუმის მოწყობა.

ოქტომბერელთა საზაფხულო მუშაობა. რაში მდგომარეობს ის? აქვთ თუ არა ოქტომბრელებს მოედანი? რა თამაშობანი ჩაატარეთ ოქტომბერთა შორის ზაფხულის განმავლობაში?

რა მონაწილეობას იღებს კედლის გაზეთი საზაფხულო მუშაობაში: თავსდება თუ არა იქ საყურადღებო და საინტერესო წინადადებანი, იძლევა თუ არა ის სახელმწღვანელო მასალებს, თუ კმაყოფილდება კოლექტივის ცხოვრების გაშუქებით.

ასწერთ რა ყოველივე ამას, აგრეთვე არ უნდა დავივიწყოთ მუშაობის ის სფეროებიც, რომლებიც ერნაირად საყურადღებოა, როგორც ზამთრობით, ისე ზაფხულობით. **აღწერეთ წრეების და სახელოსნოების მუშაობა, არ მიანებოთ თავი მათში მუშაობას ზაფხულობითაც.**

სამოსწავლო წელი დასრულდა. საჭიროა ჯამაგაუკეთოთ მას, **გააშუქოთ ზამთრის მუშაობის შედეგები.** მოგვეცით ციფრები: ბევრი ბავში დარჩა თუ არა ერთსადაიმავე ჯგუფში მეორე წლისათვის, როგორია ბავშების წარმატება. დე „ჩამორჩენილმა ბავშებმა მოგვწერონ, თუ როგორ ფიქრობენ ისინი ზაფხულში მეცადინეობას, რომ დაეწიონ თავიანთ წასწრებულ ამხანაგებს.

აი კიდევ **რის შესახებ არის დღეს საინტერესო წერა:**

როგორ ასრულებენ კოლექტივები დავალებებს.

მაგრამ კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ **არ უნდა დასწეროთ ზერელედ, მარტო ფაქტები არ უნდა ჩამოთვალოთ** — ეს დიდად არაა საინტერესო, ასეთ წერილს დიდი სარგებლობის მოტანა **არ** შეუძლია. უნდა დასწეროთ არა მარტო იმის შესახებ, თუ **რას** აკეთებთ, არამედ იმის შესახებაც, თუ **როგორ** აკეთებთ.

ნუ სწერთ მშრალი ენით, რომლითაც ჩვეულებრივად იწერება ოქმები, დასწერეთ ცოცხალი, უბრალო სიტყვებით, რომელსაც ხმარობთ თქვენ ჩვეულებრივ ცხოვრებაში.

	გვ.
1. მეტი ყურადღება ექსკურსიებს	2
2. ამხ. პ. ლ. ვოიკოვი — **ვ. ლ.**	3
3. ვერხვის ქვეშ — **დ. კარბელის**	4
4. ურმული — ლექსი — **გ. ქუჩიშვილის.**	7
5. საბჭოთა სახარა — **ბ. ოლენიძის**	8
6. ვაეცი მამა — პიესა — (დასასრული) **ნ. ტიხონოვის**	10
7. პიონერი — მომავალი სოციალისტური ცხოვრების საძირკველია — **ჯანსახ. კომისრის გრ. კუჭაიძის**	11
8. ჩვენი ძმები მსოფლიოში	12
9. დავეხმაროთ ჩინეთის მშრომელთა ბავშებს — **ს. ნ. პ. ც. ბ. (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკასთან) მიმართვა პიონერებისადმი**	14
10. რა ვაკეთოთ ზაფხულის განმავლობაში	16
11. თევზის ჭერა	17
12. აგრონომის საუბარი: მებაღეობა — **აგ. დანელიასი**	19
13. ნავთი — **კ. ლეოსი**	21
14. ჩვენი ცხოვრება და მუშაობა	22
15. როგორ ემზადებიან კაპიტალისტური ქვეყნები ომისათვის.	23
16. ზაფხული — ბავშკორის შენიშვნაში	გარე კანზე.
17. ჭადრაკი	

329.153(05)
ბ-47.
158
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

შუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1927
30 ივნისი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური მეთაურობის (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ჟურნალი მაკავშმისათვის

წელიწადი II
№ 12

ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის კოლექტივის პიონერები თავისი კლუბისათვის აკეთებენ საჭირო ნივთებს და მოწყობილობებს (ტფილისი, მე-IV რაიონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ყურადღება ექსკურსიებს.

სკოლებში მეცადინეობა უკვე შესწყდა. უკვე დადგა არდადეგების—დასვენების, გასეირნების, ექსკურსიების, თამაშის და ბანაკის მოწყობის დრო.

ზაფხულობით კლებულობს პიონერთა კრებების რაოდენობა, უფრო სუსტდება დახურულ ოთახებში მუშაობა. ბავშები მიისწრაფიან სუფთა ჰაერზე, აწყობენ მოედნებს, ვიდიან ექსკურსიებზე.

წელს კომკავშირი და პიონერ ორგანიზაცია განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ექსკურსიებს.

განა ძლიერ საინტერესო არაა წავიდეს მთელი კოლექტივი და რგოლი წინამძღოლის, კომკავშირელის ან მასწავლებლის ხელმძღვანელობით ექსკურსიაზე,—გაეცნოს უცნობ ადგილებს, მის ბუნებას და მცხოვრებლებს; თვალხილულ მაგალითებზე გაეცნოს ბუნებას და ადამიანებს, იმას, რის შესახებაც მათ მხოლოდ წაუკითხავთ ან გაუგონიათ კოლექტივში და სკოლაში?

რასაკვირველია, ძლიერ საინტერესოა.

რადგანაც ექსკურსიის დროს ბავშები სუფთა ჰაერზე მოძრაობენ, ამიტომ ეს გაჯანმრთელების საშუალებაც არის.

ექსკურსია შეიძლება იყოს სამგვარი:

1. ექსკურსია ბუნებაში, ცხოველების, ფრინველების, მცენარეულობის, ტყის, მინდვრის და მდინარის შესწავლის მიზნით.

2. ექსკურსია ქალაქში, სხვა სოფლებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ხალხის ცხოვრების და ურთიერთობის შესასწავლად.

3. ექსკურსია სახელოსნოებში, წარმოებაში, ფაბრიკაში, ქარხანაში, ბოსტნებში, მინდვრებში, სადაც სწარმოებს მუშაობა, - ადამიანის შრომის და წარმოების იარაღთა და საგანთა შესწავლის მიზნით.

ამ სამი სახის ექსკურსია ერთმანეთისაგან მაინცდამაინც დიდად არ უნდა განვასხვავოთ. მაგალითად, ბუნებაში ექსკურსიის ჩატარების დროს, თუ კია შესაძლებლობა, უნდა შევისწავლოთ აგრეთვე წარმოება ან ყოფა-ცხოვრება ადამიანების, სოფლად ექსკურსიის დროს—მეურნეობის მდგომარეობა და სხვა.

ექსკურსია, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს თავისი კუთხის (რომელშიაც ცხოვრობს და მუშაობს კოლექტივი) შესწავლისაკენ. თავისი კუთხის ულოდინარად შეუძლებელია სწორედ წავმართოთ ჩვენი მეურნეობა, დავაყენოთ ის კულტურულად მაღალ დონეზე და სხვა.

განა არ ვიცით, რომ თვითეული ექსკურსიის შემდეგ კოლექტივმა უნდა ჩაატაროს რაიმე საზოგადოებრივ სასარგებლო საქმე! ის სინამდვილეში ნაყოფიერი და აუცილებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ექსკურსიაზე კოლექტივი კარგად შეისწავლის ამა თუ იმ კუთხის მდგომარეობას და საჭიროებას, გაიგებს, თუ რა მხრით არის საჭირო მისი დახმარება.

ვისაც სურს ასეთ ექსკურსიაში მონაწილეობის მიღება, უნდა ჩაეწეროს ექსკურსიის ხელმძღვანელთან (წინამძღოლთან, კომკავშირელთან ან მასწავლებელთან), შემდეგ შეიკრიბონ, რომ იმსჯელონ, თუ რა წაიღონ თან, სად წავიდენ და რამდენი ხნით.

ექსკურსიისათვის საჭიროა წინასწარ კარგად მოვემზადოთ: არაფერი საჭირო არ უნდა დაგვავიწყდეს, ზედმეტი არაფერი არ უნდა წავიღოთ, რომ შემდეგ წუწუნი და უკმაყოფილება არ გაისმას.

საჭიროა, რომ ექიმმა გასინჯოს ექსკურსიაზე მიმავალნი და განსაზღვროს, შეუძლიათ თუ არა მათ სიარული, ან საზიანო იქნება თუ არა მათი ჯანმრთელობისათვის გასეირნება.

ძლიერ საყურადღებო და საინტერესოა საექსკურსიო ადგილების ამორჩევა ტყეილა-უბრალოდ და უგეგმოდ მინდვრად გასვლა ან მთაზე ასვლა მაინცდამაინც საინტერესო არაა. გაცილებით უფრო საინტერესოა, როდესაც ექსკურსიას გეგმიანად მოვაწყობთ!

მაშ, მთელ ჩვენი ყურადღება ექსკურსიებს. ყურადღება ბავშთა გაჯანსაღების ამ ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას!

159

ამხ. პ. ლ. ვოიკოვი

7 ივნისს, დილის 10 საათზე, ვარშავის ცენტრალური რკინისგზის სადგურზე მონარქისტმა ბორის კავერდამ სიცოცხლეს გამოასალმა ამხ. ვოიკოვი; ბინძურმა ხელმა მოგვიკლა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში.

ეს ბანდიტური ნაბიჯი გამწვავებულ საერთაშორისო პირობებში კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს იმ რეაქციონური ძალების პოლიტიკის ბოროტმოქმედებას, რომელნიც ყოველნაირად ცდილობენ მშვიდობიანობის საქმის ჩაშლას. ეს საფრთხე სულ უფრო და უფრო იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ს. ს. რ. კ. მთავრობა ცდილობს შეინარჩუნოს მშვიდობიანობა.

ამხ. პ. ვოიკოვი.

ვინ იყო ამხ. ვოიკოვი?

პეტრე ლაზარეს ძე ვოიკოვი დაიბადა 1888 წელს კერჩში. კერჩისა და შემდეგ იალტის გიმნაზიიდან გამორიცხვის შემდეგ (გამორიცხეს, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო) იგი მხოლოდ 1905 წელს ახერხებს საშუალო სასწავლებლის დამთავრებას.

გიმნაზიის სკამიდან 1903 წლამდე ამხ. ვოიკოვი მუშაობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში.

უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის დროს იგი ძულებული გახდა მიეტოვებია უნივერსიტეტი და არალეგალური მუშაობა დაეწყო.

1907 წელს ის სამხედრო საველე სასამართლოში მისცეს, რომელმაც დახვრეტა გადაუწყვიტა. ამ გარემოებამ აიძულა გაქცეულიყო რუსეთიდან.

საზღვარგარეთ ვოიკოვი პარტიულ მუშაობასთან ერთად უმაღლეს ფიზიკო მათემატიკურ განათლებას დაეწაფა ჟენევის და პარიზის უნივერსიტეტში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914) პირველი დღეებიდანვე ვოიკოვმა ომის წინააღმდეგ დაიწყო მუშაობა და ინტერნაციონალისტებს მიემხრო.

1917 წლის აგვისტოში ამხ. ვოიკოვი შედის კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიაში.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ მას უჭირავს საპასუხისმგებლო თანამდებობა: იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ, და სხვ.

1921 წელს პეტრე ვოიკოვი იწყებს მუშაობას საგარეო საქმეთა კომისარიატში და 1924 წლის 10 ოქტომბერს ინიშნება ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენლად პოლონეთში.

ეჭვს გარეშეა, რომ ვოიკოვის მკვლელობა ინგლისის რეაქციონური მთავრობის ბინძური ხელის ნამოქმედარია. ყველგან ჩვენ ვაწყდებით ინგლისის ბინძური მუშაობის კვალს, რომელიც ცდილობს, როგორც „პიონერის“ წარსულ ნომერში ვწერდით, გამოიწვიოს ომი და ყოველგვარი საშუალებით შეუშალოს ხელი საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობას. ეს მკვლელობა ნიშნავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების დასაწყისს.

ძირს ვხრით ჩვენს წითელ დროშას ამხ. ვოიკოვის და რევოლუციის, პროლეტარიატის სხვა ერთგულ მებრძოლთა წინაშე, რომელნიც გაიგმირენ დაქირავებული საზიზღარი მკვლელების, ცეცხლის წამკიდებლების ხელით.

ყოველი მსხვერპლი ამრავლებს რევოლუციონერთა ძალებს. ვარშავაში დაღვრილი სისხლი ახალ მებრძოლ ძალებს წარმოშობს. თავის რევოლუციონურ სადარაჯოზე დაღუპული გმირი იცოცხლებს ყველა მშრომელთა ხსოვნაში და წაიყვანს მათ გამარჯვებისაკენ.

პიონერებო, ნორჩო ლენინელებო! მოგვიკლეს ამხ. ვოიკოვი; ამხანაგო პიონერებო, მზად ვიყოთ ლენინის საქმის სადარაჯოებზე!

ვ. ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერხვის ქვეშ

ის იყო მზემ ამოანათა დაღესტნის ქედიდან და ალაზნის ველზე გადმოფანტა ჭიაფერში ამოვლებული სხივები. ალაპლაპდა ალაზანი, თითქოს გამოცოცხლდა, უმატა ნაბიჯს, დუდუნი ჩააჩუმა და მხიარულადა შხუის ვერხვებს შორის. ტოტებდაშვებული წნორები ჩაჰყურებენ ალაზანს, დაფიქრებულნი რაღაცას მისჩერებიან მის სიღრმეში. აიშალა ნისლი და ნიავმაც დაუკრა თავისი სიმღერა.

კაი ხანია თედომ საქონელი გამოშალა ალაზნის მინდვრიან ნაპირზე და ახლა კი ტყის პირპირ მიუდის ძოვით; შვლის ტყავის გუდა წამოუკიდია ზურგზე, უშველებელ კომბალს დაყრდნობია და ვაჰყურებს ხარბად მაძოვარ საქონელს.

უცბად, აქამდის ბექობზე ამაყად წამომჯდარმა, ზარალამ სცქვიტა ყურები, შეატრიალა თავი, შემდეგ წამოხტა, შეჰყეფა და ყეფითვე ეცა ტყის ბილიკისაკენ.

— ჰა, ჰა, ჰა, ზარალ, ზარალ!

შეეხმაურა თედო ძაღლს და საქონელს მოუარა ქვევიდან. ახმაურდა ტყე ძაღლის ყეფაზე, მაგრამ ამ ხმაურში თედომ ნათლად გაარჩია ხალხის ხმაური. ჯერ იფიქრა, შეშის მჭრელები თუ მოდიანო, მაგრამ წვრილი ბალღების, მისი ტოლების ხმაურს ჰგავდა და გაკვირდა ერთხანს. წამი—და ტყის პირას, იქვე ასკილის ჯაგთან წითელი დროშა გამოჩნდა, შემდეგ კი პიონერთა კოლექტივი, რომელსაც მეთაური მოუძღოდა წინ.

მართალია, აქამდისაც გაეგო თედოს ზოგი რამ წითელყელსაკიდიან გოგო ბიჭებზე ღამის საუბარში ბინის ცეცხლა პირას, მაგრამ უფრო ზღაპარი რამ ეგონა მათი არსებობა, ვიდრე სინამდვილე. და, აი, ახლა მოაგონდა ძია სოლომანას ნაამბობი, დოლის ბრახუნით და სიმღერით დადიან სოფელ-სოფელო.

თედომ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, მისულიყო ახლო, თუ გვერდი აექცია.

ამ ყოყმანიდან თვით პიონერებმა გამოიყვანეს.

— გამარჯობა, ამხანაგო!

მხიარულად უთხრა გიგლამ, რომელსაც დოლი ეკიდა მხარიღლივ და ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს, —უპასუხა თედომ და მაგრად ჩამოართვა ხელი.

— მეძროხე ხარ?

— სად მიერეკები?

— შორს არის ალაზანი?

და კიდევ მრავალი კითხვა დააყარეს თედოს ბავშვებმა და გარს შემოეხვიენ.

ჯერ კი გაწითლდა თედო, დაიბნა, მაგრამ მალე წელში გასწორდა და უპასუხა:

— აგე, ალაზანი, ვერა ხედამთ? მეძროხე ხარო, რო მეკითხებით, ე საქონელს ვერა ხედამთ? მა რა ვიქნები?

თვალიერება დაუწყო თედომ პიონერებს, მაგრამ ვინ დააცადა: ჩასჭიდეს ხელი აქეთ-იქიდან, დაუწყეს საუბარი.

— თან წამოგვყვეს ალაზანზე, უთხარით, — იძახოდა ვანო, და ამხანაგებმაც თხოვნა დაუწყეს.

— აბა, ე საქონელს რა უყო, რო წამოვიდე? მზრუნველობის კილოთი წამოიძახა თედომ, რომელსაც მოახლოვებულმა მეთაურმაც კვერი დაუკრა:

— არა, ამხანაგებო, საქონელს როგორ დატოვებს! ყურის გდება უნდა.

— რა ყურის გდება, ამხ. მეთაურო, აგერ, ალაზანი სადა ყოფილა, საქონელი აქ იყოს, —წამოიძახეს აქეთ-იქიდან პიონერებმა.

— საქონელი აქ იყოს? ჰო და აბა საქმის ძალა რო არ იცით, ის არის და! —ამაყად წარმოსთქვა თედომ. —საქონელს თვალი როგორ მოშორდება, ტყე ნადირითაა სამსე, ისრე ეტანება საქონელს, როგორც ბუზალაკი.

კიდევ კარგა ხანს ივაჭრეს და თედო დაიყოლიეს, მაგრამ თედომ საქონელი ტყის პირას მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დატოვა, თითონ გვერდიდან წამოუარა, ზარალამ ზემოდან, საქონელს პირი ალაზნისაკენ აქნევინეს და შუა მინდორზე მირეკეს უშველებელი მუხის ქვეშ. პიონერებიც შველოდენ ამ საქმეში.



გამოჩნდა წითელი დროშა, შემდეგ კი პიონერთა კოლექტივი.

— აბა ახლა კი წამოდი, — გაავლო ხელი პირველად გაცნობილმა გიგლამ.

— წამოდი, წამოდი; მაგრამ სახელი რომ არ ვიცით შენი? — წამოიყვირა რამდენიმე პიონერმა.

— მე? თედო მქვიან სახელად. წამოსვლით კი წამოვალ, მაგრამ მალევე თუ არ მოვბრუნდი, ცოდოა საქონელი, უპმელია და.

— ჰო, ჰო, თედო, მალე, მალე, — უპასუხეს გავშებმა და ალაზნისკენ გაეშურენ.

გამოცდილი ზარალა კი საქონელთან დარჩა, შორიახლო წამოჯდა და მიაჩერდა საქონელს.

ალაზნის ნაპირს მისვლისას ახმაურდენ აღტაცებული ბავშები, მაგრამ, წინა დღით კრებაზე გამოტანილი დადგენილების თანახმად, იმწამს დამწკრივდენ ნაპირზე, მედროშემ ასწია დროშა, დაუკრეს დოლი და სტვირი.

ასე მიესალმენ პიონერები ალაზანს.

თედო კი პიონერების უკან იდგა, ათას ფიქრებში გართულიყო და სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა სხეულში: „რა კარგები არიან, რა კარგები! ამათ იხსენიებდა ისე უდიერად ძია სოლომანა? აი, ვენაცვალე ამათა, — ფიქრობდა თედო და რაღაც საიმედო აზრი და სურვილი გაურკვევლად უტრიალებდა თავში. გაათავეს სალამი პიონერებმა და მიმოიფანტენ ნაპირებზე, სიხარულით ცას ეწეოდენ, ხტუნავდენ, მღეროდენ, გახარებული იყო მეთაურიც, მოჟივჟივე და გატაცებით სრულ კმაყოფილებას მიცემული ბავშების შემყურე.

თუმცა თედო მიჩვეული იყო მიდამოს, თითქოს თვალი მოექანცა ერთისადაიმავე სურათის შემყურეს, მაგრამ მხიარულად ჩაება ბავშების ყოველ ხივილში და ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ახალმოსულებს ეჯიბრებოდა ქვის სროლაში.

— აბა, მოიცათ, აი, ეგრე თუ გაისვრით ქვას, — სთქვა თედომ და ქვა ალაზნის ზედაპირზე გაალივლივა.

— ყოჩაღ, თედო, ყოჩაღ, — მოუწონა მეთაურმა და პატარა განმარტება მისცა გაკვირვებულს პიონერებს:

— თედომ, ამხანაგებო, ბრტყელი ქვა ისროლა, თან ი'ე, რომ ცერად კი არ მოხვდა წყლის ზედაპირს, არამედ საბრტყით და ამიტომ გასრიალდა.

აბა, ეგენი არ ვიცით, მაგრამ ეგრე კია და! — თავმომწონედ წარმოსთქვა თედომ და კიდევ ერთი ქვა გაასრიალა ალაზნის ზედაპირზე. აჰყვენ სხვებიც, შეარჩიეს ქვები და ისინიც მალე შეეჩვიენ.

საქონელმა ერთს ადგილას ვერ მოისვენა და ძოვით გაიშალა მუხის გარშემო.

თედოს არ გამოეპარა ეს და თვალის დახამხამებაზე საქონელთან გაჩნდა, ბუღა ხარი ქვევიდან მოუქცია საქონელს და ისევ მობრუნდა.

მოიოხეს რა გული მხიარულებით პიონერებმა, იქვე ვერხვის ქვეშ მოგროვდენ, გაშალეს საუზმე, თედო შუაში ჩაისვეს და გააბეს მასლაათი.

მორჩენ საუზმეს, წამოშლა დააპირეს.

— მოიცათ, ამხანაგებო, ცოტა რასმე გეტყვით და მერე შევუდგეთ დანარჩენს საქმეს, — შეაჩერა მეთაურმა.

— აბა, მოიცათ, ეი, ეგრე თუ გაისვრით ქვას, — სთქვა თედომ და ქვა ალაზნის ზედაპირზე გაალივლივა.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — და ნახევრად წამოშლილები ისევ ჩამოსხდენ მწვანე ხასხასა მოლზე.

— აი, იმ მთებს, ამხანაგებო, — დაიწყო მეთაურმა, — მწვერვალები რომ ისევ შეთეთრებული აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლით, დაღესტნის ქედი ჰქვიან და ვავკასიონის ნაწილს შეადგენს; აბა, მოვიგონოთ, კოლა!

— კავკასიონი, ამხ. მეთაურო, შავი ზღვის ჩრდილოეთით ტამანის ნახევარკუნძულიდან იწყება და კასპის ზღვამდის მოდის;

— ირიბად მიემართება,—ჩაურთო მარომ.

— ჰო,—გაისწორა კოლამ,—ირიბად მოემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მისი უდიდესი მწვერვალებია: იალბუზი, მყინვარი და კიდევ სხვები.

მეთაური ესაუბრებოდა კავკასიონის მთის შესახებ.

— კარგი, კარგი,—შეაჩერა კოლა მეთაურმა და განაგრძო:—კავკასიონის სიგრძე ურდის დაახლოვებით 1450 კილომეტრს და სიგანე კი მეტად ცვალებადია, ზოგან 80 კილომეტრი აქვს, ზოგან მეტი; უდიდესი სიგანე სწორედ აქა აქვს კავკასიონს, დაღესტნის ქედში—200 კილომეტრამდის. ამ ქედს რომ გადავიდეთ, კასპის ზღვას დავხედავთ, გავლა კი მოგვიხდება, როგორც უკვე იცით, ლეკებზე. ისინი მოსახლეობენ ამ მთებში. ისიც გეხსომებათ, რომ ამ მთებში იბრძოდა განთქმული შამილი მეფის რუსეთის წინააღმდეგ და დაღესტანს იცავდა დამონებისაგან. ახლა დაღესტანი ავტონომიური ერთეულია და ჩვენს საკავშირო რესპუბლიკაში შემოდის თავისუფლებამოპოებული.

— ამხ. მეთაურო,—მიმართა თინამ,—როგორ გადმოდიან აქეთ, ჩვენსკენ, ლეკები ამ გაუვალი მთებით?

მეთაურმა გაიღიმა.

— აგერ, ხედავთ, მთას რომ ყვითელი ზოლი ასდევს? ეგ ზოლი ძველი შარა გზაა ვანტლიანთის უღელტეხილისა და საგვაზიდან ადის;

სამწუხაროდ, სოფელი აქედან არა ჩანს, გვიშლის დანახვას; გზები და ბილიკები მრავლად გადადის დაღესტანში ხეობებით, რომლითაც, როგორც ხედავთ, ძლიერ დასერილია ეს მთები; ხეობებით იმიტომ, რომ ციცაბო მთებზე ასვლა ძნელია და ხეობის კიდით სიარული კი იოლი.

ახლა კი ალაზანს მივუბრუნდეთ.

— ჰო, ალაზანს, ალაზანს,—შემოჰკრეს მხიარულად ტაში ბავშვებმა.

— სათავე სადა აქვს, თამრო, ალაზანს?—ჰკითხა თამროს.

— არ მახსოვს, ამხ. მეთაურო.

და გაწითლდა თამრო.

— თუშეთში, ბორბალოს მთაში,—ცოცხლად მიუგო ზაქრომ და თან დაუმატა:—საათავეში მას არზონს უწოდებენ და მთიან ადგილებზე მოედინება, მხოლოდ თელავის მაზრაში ჩამოივაკებს.

— სწორეა, სწორე,—მოუწონა მეთაურმა ზაქროს და ისევ განაგრძო:

— ალაზანი, ამხანაგებო, საქართველოს მდინარეებში ყველაზე გრძელია...

— მტკვარი, მტკვარი?—არ დააცადეს პიონერებმა.

— მართალია, მტკვარი 1000 კილომეტრის სიგრძისაა, მაგრამ არც ზემო ნაწილი მისი და არც ქვემო საქართველოს საზღვრებში არ შემოდის; ზემო ნაწილი ოსმალეთში მოედინება, ქვემო კი სომხეთ-ადერბეიჯანში; შუა წელის სიგრძე კი, რაც ჩვენს საზღვრებშია, 285 კლმ. უდრის; ალაზანი მთლიანად ჩვენს საზღვრებშია და სიგრძით 391 კილომ. უდრის. მაშასადამე, ალაზანი ჩვენი უგრძესი მდინარე ყოფილა. მდიდარია ალაზანი თევზით, გამოსადეგია არხების გასაყვანად, ნაოსნობისთვის, ელსადგურებისთვისაც და იქნებ მომავალში „ზაჰესის“ მსგავსად შიგნით კახეთსაც ჰქონდეს „ალჰესი“.

ამას დაუმატეთ ეს უშვილებელი ჭალა, გველივით რომ გაჰკვრია ალაზანს, და მისი დიდი მნიშვნელობა მშრომელი ხალხისთვის ცხადი იქნება.

ამასთან, ალაზნის გამო, ამ მიდამოს მშვენიერება სილამაზე ხომ გამოუთქმელია და, აი, ჩვენი ალაზანი ასეთია, ამაყად მომდინარი, ხალხის მოამაგე;

161 ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კმარა საუბარი და საქმეს შევუდგეთ.

ამ სიტყვებზე კოლექტივი წამოიშალა და, თითქოს ერთმანეთისათვის პიროობა მიუციათო, ერთად შესძახეს: „გაუმარჯოს ალაზანს, გაუმარჯოს“.

თედო ამ ძახილმა გამოარკვია და წამოხტა. მეტად დაფიქრებულიყო პატარა ბიჭი, ნაირი კითხვები თავისთავად იჭრებოდა მის გონებაში, ნახულ-გაგონილით გამოწვეული, და პასუხი კი ვერ ეპოვა.

— აბა, თედო, ახლა ჩვენ ტყეს დავათვალიერებთ. ნიმუშების შეკრებას შევუდგებით კოლექციისათვის და შენც უნდა წამოგვყვე, — უთხრა თედოს გოგლამ და ხელი მოხვია.

— ჰე! რას ამბობ? საქონელი? არა, არა, თქვენ წადით და შუადღისას აქ რო თავს მოიყრით, საქონელიც ხო ალაზანში უნდა ჩავყარო, მაშინ მოვალ.

— არა, არა, ჩვენთან წამოდი, ჩვენთან, — შეჰყვირეს ბავშებმა.

— არა, ამხანაგებო, როგორ შეიძლება ეგა, საქონელს ყურის გდება უნდა, და თედოს მოაცდენთ და გასაჭირში ჩააგდებთ, დაარიგა მეთაურმა ბავშები და იმ პიროობით გაშორდენ თედოს, რომ შუადღისას ისევ იმ ადგილს შეხვდებოდენ.

აუზაურით მოედვენ ტყეს ბავშები და დიდხ ნს ესმოდა კიდევ თედოს სალამურის რაკრაკი.

(დასასრული იქნება).

დ. კარბელი.

ᲣᲠᲒᲣᲚᲘ

ღამეა. მთვარე-ვარსკვლავნი
დაქათქათებენ ცაზედა,
მარაოსავით გაშლილა
იმათი შუქი მთაზედა.
ღამეა, მყუდროებაა
ამ სოფელ-ქვეყანაზედა,
ტყეც კი ალარა შრიალებს,
ჩასძინებია ძალზედა.
მხოლოდ ურემი ჭრიალებს
გატკეცილ შარაგზაზედა,
კოფოზე მჯდომი გლეხკაცი
ღიღინებს თავის თავზედა.
ღიღინებს და თან ურემი
ჯაყჯაყებს ქვიდან ქვაზედა,
ხარებიც ზლაზვნით მიდიან
ურმულის ნაზ-ტკბილ ხმაზედა.
— ჰამო, გამიწით ხარებო,
არ გადამჩეხოთ კლდეზედა,
არ ამიცრემლოთ ცოლშვილი,
გლოვად არ დასხათ ჩემზედა.
მეყო, რაც შავ-ბნელ წარსულში
ვაება გადამხვდია
და ბატონყმობის უღელში
წახრილი მქონდა ქედია.
ჰარი-ჰარალე-ჰარალო,
ვარალე, ჩე'ო შვინდაო,
გლეხკაცთა ბედის ვარსკვლავი
ძლივს წითლად გამობრწყინდაო.
ჩვენს ნაბატონარს უჩვენოდ
ცხოვრება გაუმძიმდაო,
მღვდელ-დიაკვანს და ჩარჩ-ვაჭარს
ნაღველა გაუსივდაო.
მამასახლისს და გზირ ნაცვალს
ძველი დრო გაუფრინდაო,
ციებ-ცხელებით ცახცახებს,
ხალხს ისე შეუშინდაო.
ჰოი, ჰარალე, ჰარალო,
გასწიე, ჩემო შვინდაო,
მალე შენც ტრაქტორი შეგცვლის
და მეტი რაღა გინდაო.
თუმცა უკულმართ წარსულმა
სიცოცხლე გამიმწარა,
მაგრამ შრომამ და ჭიდილმა
უქმად არ ჩამიარაო.
ქარხნის მუშების ჭირიმე,
მათში ყოფილა ძალაო,
თვითმპყრობელობა ტახტიდან
ძირს დასცეს ყირამალაო.
ხალხის ნაშრომის მტაცებლებს
სამარე გაუთხარაო,
წყევლა და კრულვასთან ერთად
ქვა-ღორღი მიაყარაო.
თუმცა ამ ბრძოლა-ჭიდილში
ზღვა-სისხლი დაიღვარაო,
მაგრამ მტერს დედა ეტირა,
თვალები დაეთხარაო,
ძლივს მოისვენა ქვეყანამ
და ხალხმაც გაიხარაო.
ჰარი-ჰარალე-ჰარალო,
გრძელი გზა გვიმოკლდებაო,
გასწიეთ, ჩემო ხარებო,
საცაა გათენდებაო.

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სახარა.

1. ექსპედიცია ყარაყუმში.

მდინარე მურგაბსა და ამუ-დარიას შორის, ავღანისტანის საზღვარზე, მდებარეობს უზარმაზარი უდაბნო, რომელიც დაფარულია გავარვარებული ქვიშით და რომელიც ჯერჯერობით სრულიად გამოუსადეგარია ცხოვრებისათვის.



მოგზაურობის მესამე დღეს რაღაცა გამოუცნობი ავადმყოფობისაგან ყველა ვირი დაიხოცა.

უდაბნოს შუა ნაწილი აქამდე ჯერ კიდევ გამოუკვლეველია. უდაბნოს მხოლოდ იმ ნაწილებს, რომელიც რამდენიმედ ახლოა დასახლებულ ადგილებთან, ზოგჯერ ესტუმრებოდა ქარავანი.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც დაინტერესებულია მშრომელთა მდგომარეობით, რომელიც ზრუნავს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ყარაყუმის გამოყენებაც განიზრახა. ამ მიზნით იქ გაგზავნილ იქნა ექსპედიცია, რომელსაც უნდა გამოეკვლია და გამოერკვია, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა უდაბნოში ტრანს-კასპიის არხის გაყვანა 100 კილომეტრის მანძილზე.

ეს მეტად სამძიმო და საპასუხისმგებლო საქმე შეასრულეს შუა-აზიის წყალთა მეურნეობის მუშაკებმა.

ამ ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ—ინჟინერმა ბრაიტმა—აღწერა თავისი მოგზაურობა უდაბნოში, რაც დიდად საინტერესოა. ეს აღწერა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი გაჭირვება გადახდათ მათ, როგორ მძიმე და საშინელ პირობებში უხდებოდათ მოგზაურობა.

2. პირველი ნაბიჯები.

მოგზაურობის პირველმა ხანამ შედარებით მშვიდად ჩაიარა. მართალია, მოგზაურობა მეტად ნელა უხდებოდათ, რადგანაც ექსპედიციისათვის ცხენები ვირებით შეცვალეს, რომლებიც გაჭირვების უფრო ამტანი არიან. მაგრამ სამაგიეროდ ისინი მეტად ნელა მიდიოდენ, რამაც მგზავრობა გაახანგრძლივა.

შუადღისას უდაბნოში ქვიშის მხურვალება 72 გრადუსს აღწევს. ასეთ სიცხეში ძალზე ენერგიულ და ძლიერ ადამიანსაც არ შეუძლია გაძლება. ინჟინერი ბრაიტის რაზმი შუადღისას ისვენებდა კარვებში, სადაც ისინი ნახევრად უგრძნობლად ეყარენ ძლიერი სიცხის გამო. თვით ვირებსაც კი არ ეტყობოდათ ამ დროს სიცოცხლის ნიშანწყალი. როდესაც საღამოთი სიცხე რამოდენიმედ იკლებდა,—მაშინ კვლავ იწყებდენ მუშაობას. ექსპედიცია უმეტესად ღამით მოძრაობდა.

უდაბნოში ძლიერ არის დაშორებული წყლიანი ჭები—ერთადერთი საშუალება, რომელიც იძლევა უდაბნოში მოძრაობის შესაძლებლობას. ზოგიერთი ჭა დამპალია და მისი წყალი უგემურია, მაგრამ მისი დალევაც უხდებოდათ ექსპედიციის წევრებს უკეთესის უქონლობის გამო.

უდაბნო სასაფლაოს წარმოადგენს. იქ ყველაფერი მდუმარებას მოუცავს.

უდაბნოს იმ ნაწილებში, სადაც არის რაიმე მცენარეულობა და სისველე (ოაზისებში), ცხოვრობენ ცხოველებიც—ლამაზი ირმები, ჯეირნები, ფოცხვერები, გველები, რომლების კბენაც სიკვდილს იწვევს, მორიელები და სხვა ცხოველები.

3. წყალიც გამოილია.

ინჟინერი ბრაიტის რაზმმა გზისათვის მიიღო წყლის განსაზღვრული რაოდენობა, რის გამოც ექსპედიციას დიდი გაჭირვების დღეების ატანა შეხვდა. ამ დღეებს ვერას დროსვერ დაივიწყებენ მისი მონაწილენი.

მოგზაურობის მესამე დღეს რაღაცა გამოუცნობი ავადმყოფობისაგან ყველა ვირი დაიხოცა. ამით

ორი კაცი დაეტაკა ნახევარი ბოთლი წყლის მფლობელს და მისი მოკვლა უნდოდათ წყლის წართმევის გულისათვის.

ექსპედიციას სურსათის და ხელსაწყოების გადატანის საშუალება მოესპო. საუბრის შემდეგ ექსპედიციის მონაწილეებმა გადასწყვიტეს ყველა ხელსაწყოს

168 ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშაში ჩაფლვა და ქვეითად განაგრძეს სიარული გახურებულ ქვიშაში.

იმ წყლისაგან, რაც მათ დარჩა, თვითეულმა მიიღო თითო ბოთლი წყალი, რომელიც მათ უნდა ჰყოფნოდათ ყოველ შემთხვევაში სამ დღეს მაინც. მაგრამ დიდი სიცხისაგან შეწუხებულები იძულებული შეიქნენ წყალი პირველ დღესავე შეესვათ.

სამგზავრო კიდევ ბევრი რჩებოდა.

დასუსტებული ადამიანები ეცემოდენ ქვიშაზე. ისინი ბოდავდენ, იხვეწებოდენ ერთი წვეთი წყლის მიცემას.

უგრძნობ მდგომარეობაში მყოფნი იხდიდენ საცვლებს და მასზე აწერდენ:

— გვიშველეთ, სამხრეთ-დასავლეთი მხარე, 60 გრადუსი.

4. მესამე დღე.

მესამე დღეს ადამიანები უკვე კი არ მიდიოდენ, არამედ მიბობღავდენ ყარაყუმის ქვიშაში. ყოველ ხუთ წუთში ისინი ჩერდებოდენ ძალ-ღონის მოსაკრებად. ყოველ წუთში გრძნობაზე უნდა მოეყვანათ გულწასული ადამიანები.

როდესაც გრძნობაზე მოვიდოდენ, ისინი იხვეწებოდენ:

— დამანებეთ თავი, მომეცით სიკვდილის ნება, მე მეტი სიარული აღარ შემიძლია.

მხოლოდ ინჟინერი ბრაიტის ენერგია და ნება აიძულებდა მის თანმხლებლებს წარმომდგარიყვენ და განეგრძოთ გზა. ხან ცემით, ხან მოფერებით ის აიძულებდა ადამიანებს, რომლებიც დავარდნილები იყვნენ, განეგრძოთ გზა თავის გადასარჩენად, ოაზისისაკენ.

ერთ-ერთ მონაწილეთაგანს აღმოაჩნდა ნახევარი ბოთლი გადამალული წყალი. მისი გულისათვის იქ მეტად მძიმე სურათი დატრიალდა. ის წყალი ყველას არ ეყოფოდა, ხოლო ცალკე რომ ვინმეს დაეღია, ამის ნებას არავინ მისცემდა ერთმანეთს. ორი მონაწილეთაგანი დაეტაკა ნახევარი ბოთლი წყლის მფლობელს და მისი მოკვლა უნდოდათ წყლის წართმევის გულისათვის.

ინჟინერმა ბრაიტმა გამოგლიჯა მათ წყლიანი ბოთლი და გადააქცია ქვიშაში:

— რადგანაც წყალი ყველას არ გვეყოფა,— ამიტომ მას არცერთი არ მიიღებს.

ორი გააფთრებული პირი დაეტაკა ბრაიტს. ისინი მოკლავდენ მას, რომ სხვები არ მიხმარებოდენ.

მხოლოდ მეოთხე დღეს შესძლო ექსპედიციამ ჭასთან მიხწევა. ეს წყალი ძლიერ აყროლებული იყო, მაგრამ დაეწაფენ მას, როგორც ხსნის ერთადერთ საშუალებას...

5. რა ნაყოფი გამოიღო ექსპედიციამ.

ექსპედიციის მუშაობის შედეგები მეტად საინტერესო და საყურადღებოა მეცნიერებისათვის. მან შესძლო ბევრი რაიმეს გამოკვლევა და გაკეთება მეცნიერებისათვის,

ინჟინერი ბრაიტი ამბობს, რომ მას არასდროს არ გადამხდენია თავს ისეთი მძიმე წუთები, როგორც ამ უწყლო, უსიცოცხლო უდაბნოში.

ხოლოდ ბრაიტის და რამოდენიმე თანამშრომელის უნერგიის და ნების წყალობით იქნა ბრწყინვალედ დასრულებული ეს საქმე.

ბ. ოლენიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეცი მამა

(დასასრული).

გამოსვლა IX.

კარლო და როტმისტრი.

როტმისტრი. (ადგებს მაგიდაზე სუზმეს. კარლო წიგნს ფურცლავს). შენ სულ წიგნს ეცნობი. დააგდე ეგა. მაგას შინ გასინჯავ. მოდი, უკეთესია ისაუზმო.

კარლო. გმადლობთ! (დგება, მიდის მაგიდასთან)

როტმისტრი. დაჯექი, ჭამე ხბოს ხორცი. (კარლო სუზმობს, როტმისტრი შამპანიურს სვამს ბუზა).

როტმისტრი. ყური მიგდე, კარლუშა, შენ ვერაფერს ვერ გვეტყვი თქვენი ოჯახის შესახებ? როგორ ცხოვრობთ, ან სად მუშაობს მამაშენი?..

კარლო. რა გითხრათ? დედა დილიდან საღამომდის დადის ბატონებთან, სარეცხს ურეცხავს. მამაჩემი კი მთელი დღე ქარხანაშია.

როტმისტრი. მამაშენი ახლაც ქარხანაში იქნება?..

კარლო. არა, იგი წავიდა.

როტმისტრი. წავიდა? სამწუხაროა...

კარლო. სამწუხაროა? რატომ არის სამწუხარო?

როტმისტრი. რატომ? მე მინდოდა მისთვის სამუშაო მიმეცა ჩემს სამართველოში. მე ხომ იმას კარგად ვიცნობ.

კარლო. (გაკვირვებული). თქვენს სამართველოში?.

როტმისტრი. რატომ აგრე გაიკვირე? ჰო, ჩემ სამართველოში! აი რა, ჩემო კარგო, მითხარი, სად წავიდა? მე მინდა მივწერო იმას. მგონია, ჩადგებოდა ჩემთან სამსახურში.

კარლო. (მიხვდა, რაც უნდა ეთქმევინებია როტმისტრს) ა-ა—ა! ახლა კი ცხადია!

როტმისტრი. ხოდა ეგ კარგია, რომ მიხვდი ჩემ ლაპარაკს. აბა, მითხარი, სად წავიდა?

კარლო. (მტკიცედ). არ ვიცი!

როტმისტრი. იქნებ მოიგონო, სად ფიქრობდა წასვლას?

კარლო. ის მე არ მეუბნებოდა, თუ სად აპირებდა წასვლას, ის საჩქაროდ მოემზადა და წავიდა.

როტმისტრი. ტყუილა-უბრალოდ მალავ! მე სრულებითაც არ მინდა რაიმე ზიანი მივაყენო მამაშენს, ის ჩემი ძველი მეგობარია. სხვათა შორის, შენ რატომ სჭამ აგრე ცოტას?

კარლო. გმადლობთ, მე უკვე გამაძღარი ვარ!

როტმისტრი. აბა, მაშ დალიე ერთი ჭიქა შოკოლადი. შენ ეს დაგილევია როდისმე?

კარლო. არა, რას ამბობთ, სად დავლევდი?

როტმისტრი. მშვენიერია! აბა, გემო ნახე, მე დარწმუნებული ვარ, რომ მოგეწონება (უსხავს ჭიქაში შოკოლადს და მიაწოდებს ჭიქას. კარლო არ სვამს, როტმისტრი აჩვენებს ეშმაკურ სახეს, ისე რომ იგი ვერ ხვდება) კარლუშა! შენ ძალიან გიყვარს დედა?

კარლო. დიახ, მიყვარს. ის ძალიან კარგია! სამწუხაროა, რომ ძალიან ღლება ყოველდღე და საღამოთი სულ ჩივის—წელი მტკივაო. მე ძალიან მეცოდება.

როტმისტრი. (ოვისთვის) ძალიან კარგი. (კარლოს) ხომ ხედავ, მამაშენი რომ დადგეს ჩემთან სამსახურში, ის უფრო მეტ ჯამაგირს მიიღებს და შენ დედას არ მოუხდება მუშაობა, მოსამსახურესაც კი დაიჭერს.

კარლო. არა, მოსამსახურე რათ გვინდა. საჭიროა იმან ცოტა დაისვენოს.

როტმისტრი. (მოიწევს მისკენ). შენ ეს გინდა, არა? (ჩუმად) მითხარ, სად არის მამა?

კარლო (უყურებს როტმისტრს და ეფუმანობს).

როტმისტრი სად არის მამაშენი? სად არის მამაშენი?

კარლო. (მტკიცედ). არ ვიცი, არაფერი არ ვიცი!

როტმისტრი. (ადელვებული). ჩემთვის სულ ერთია, მე თქვენთვის ვცდილობ, შენის ოჯახისთვის. (ბაბირაზს ანიშნებს. ბუზა).

როტმისტრი. შენ ხომ ლაპარაკობდი, ღარიბები საცოდავები არიანო, მათ არა აქვთ საშუალება თეატრში სიარულის და წიგნების ყიდვისაო. შენ რომ გეთქვა სად არის მამა, ყვალაფერი გექნებოდა.

კარლო. (მტკიცედ). მე არ ვიცი!

როტმისტრი. მაშინ შენ ყველაფრით იქნებოდი კმაყოფილი! შეიძლება მამაშენს არც კი დანანებოდა რამოდენიმე მარკა თავისი ერთადერთი შვილისათვის.

კარლო. (ადელვებული). მე არ ვიცი სად არის მამა.

როტმისტრი. მე შენთვის კიდევ ერთი რამე მაქვს (მიდის მაგიდასთან, იღებს ჯესინის ბატარა პორტრეტს) შეხედე, კარლუშა ვინ არის ეს?..

163 ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო. ლენინი! (მიგარდება ბორტრეტს) ლენინი!

როტმისტრი. შენ განა იცნობ იმას?

კარლო. დიახ!

როტმისტრი. მოდი ახლო, მე გულზე მიგიმაგრებ მას (კარლო მიდის). აბა, ახლა მითხარი, სად წავიდა მამა?

კარლო. (უყურებს ლენინის სურათს, გულზე დაბნეულს). სად წავიდა მამა? (სიჩქარეზე წამოწითლებული უკან დაიწევს) არ ვიცი!

როტმისტრი. (გაჯავრებული წაავლებს მაჯაში ხელს). სად არის მამაშენი? (კარლო გაჩუმებული ხელს აფარებს ლენინის ბორტრეტს) მე შენ გეკითხები, სად არის მამაშენი?

კარლო. არ ვიცი!

როტმისტრი. (ანჯღრევს). იტყვი თუ არა, სად არის მამაშენი?

კარლო. (მშვიდად და მტკიცედ). არა, არ გეტყვი, მე არ ვიცი!

გამოსვლა X.

შემოდის ადიუტანტი

როტმისტრი. რა ამბავია, რათ შემოდით, ეშმაკმა კი წაგიღოს!

ადიუტანტი. (კანკალით) თქვენ გთხოულობენ საჩქაროდ ტელეფონთან, ბატონო როტმისტრო!

როტმისტრი. ვინაა? ეშმაკმა კი წაიღოს მათი თავი, ახლა მოუნდათ? არა მცალია!..

ადიუტანტი. ი-ის, თვითონ ის არის (უჩურჩულებს ყურში).

როტმისტრი. (სიჩქარეზე შეიცვლის ხმას). წადი, უთხარი, რომ მე ამ წუთს მოვალ (ადიუტანტი მიდის.)

როტმისტრი (გაბრაზებული უყურებს კარლოს. მერე თავშეუკავებლად ზიზღით ეუბნება) მე შენ, საზიზღარო ბავშო, გაძლევ 10 წუთს მოიფიქრე და სთქვი, სად არის მამაშენი. თუ არ იტყვი, მაშინ სხვანაირად მოგექცევი. (კარლოს ხელს ჭერავს ისე, რომ კარლო შეტორტმანდება. როტმისტრი მიდის კარებისაკენ, შემდეგ მობრუნდება) გირჩევ, სთქვა ყველაფერი და გასცე მამა, თორემ შემდეგ სხვანაირად მოგექცევი (გადის, კარებს მიაჯახუნებს).

კარლო. (მარტო). რაო, რა სთქვა? გაეცი მამაო? ვერა, ვერ მოგართვი! 10 წუთი... 10 წუთში ყველაფერის გაკეთება შეიძლება (მხიარულად) ცოტა გაწყდა არა ვთქვი. ახლა კი ის უკვე ვეღარაფერს ვერ გაიგებს. სად არის მამა!. (ათვალიერებს) 10 წუთი!.. უნდა დავეჩქარო (კარებს აწვება). დაკეტილია (მიდის მეორესთან). ესეც დაკეტილია, იქ კი ეს ძაღლები არიან! მხოლოდ ფანჯარა დამრჩენია, (იყურება ფანჯარაში) საკმაოდ მაღალია. ვაშა, აი წყლის მილიც. მაშ დამიხსენი, ტანვარჯიშობავ! (ადის ფანჯარაზე) პიონერს ვერ შეისყიდით შოკოლადით და წიგნებით. იცოდეთ და დაიხსოვნეთ ახალგაზრდა ლენინელებო, ახალგაზრდა კომუნისტი არ შეიძლება იყოს გამცემი! (გადადის ფანჯრიდან).

ფარდა

ტიხონოვი.

პიონერი—მომავალი სოციალისტური ცხოვრების საძირკველია.

პიონერი მაშინ გაამართლებს მშრომელი კლასის მიერ მასზე დამყარებულ იმედებს, როდესაც, გონებრივ განვითარებასთან ერთად, იგი იზრუნებს აგრეთვე თავის ფიზიკურ განვითარებაზე.

მშრომელთა საკეთილდღეოდ კომუნისტური ცხოვრების დასამყარებლად, მომავალი მუშაობისათვის საჭიროა მედგრად მებრძოლი, გამოკაჟებული და ჯანმრთელი თაობა.

მაშასადამე, ცოდნის შეძენასთან ერთად, საჭიროა ჯანის გამაგრებაც, შეთვისება და ზნე-ჩვეულებად გადაქცევა ყოველივე იმისა, რაც ჯანმრთელობისათვის საჭიროა და მის აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს.

ამიტომ პიონერმა უნდა იცოდეს, თუ რა საშუალებით შეუძლია მას თავის გაჯანსაღება და ყოველნაირი ავადმყოფობის თავიდან აცილება.

მან უნდა იცოდეს, რა არის მისი ჯანისათვის მარგებელი და რა არის მავნებელი, როგორ უნდა იქნეს განაწილებული დრო მთელი დღე-ღამის განმავლობაში, რა პირობებში და რარიგად უნდა წარმოებდეს საზრდოობა, მუშაობა, გართობა და ძილი.

ყოველივე ამას ჩვენ გვასწავლის ჩვენ ფიზიკური კულტურა, რომლის მოთხოვნა მტკიცედ უნდა იქნეს შესრულებული ყველა პიონერის მიერ.

ჯანსახკომისარი გრ. კუჭაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ძმეგი მსოფლიოში.

ბავშთა მოძრაობა ჩეხო-სლოვაკეთში

ჩეხო-სლოვაკეთში არის ბავშთა დიდი ორგანიზაცია „შრომის სპარტაკის სკაუტები", რომლის მოძრაობაც ფრიად ფართო ხასიათისაა.

ეს ორგანიზაცია დიდი ხნის წინათ აღმოცენდა. ჯერ კიდევ 1920 წელს სლოვაკიაში (ჩეხო-სლოვაკეთის ერთ-ერთი ოლქია) კომკავშირთან არსებობდა წითელი სკაუტების ჯგუფები. ასეთივე ჯგუფები არსებობდა პრაგაში (ჩეხო-სლოვაკეთის სატახტო ქალაქში).

მთელი ჩეხო-სლოვაკეთის კომკავშირელების გაერთიანებამდე (1921 წლამდე აქ კომკავშირელები ეროვნების მიხედვით იყვნენ დანაწილებული ორგანიზაციაში) ყველა ეს ჯგუფები მუშაობდენ ძლიერ სუსტად, და მხოლოდ 1921 წლიდან იწყება მათი მუშაობის ზრდა და განვითარება.

1921 წელს მათ წარმატებით ჩაატარეს 2 კამპანია: საბჭოთა რუსეთის დამშეული ბავშვების დახმარების და ბავშთა პირველი საერთაშორისო კვირეული. ამ უკანასკნელის კრებებზე და დემონსტრაციებზე რამოდენიმე ათასი ბავში იღებდა მონაწილეობას.

1922 წელს დაიწყო გამოსვლა ორმა ორკვირეულმა ჟურნალმა „ნორჩმა ამხანაგმა"—ქ. რეიხენბერგში, გერმანულ ენაზე, და ქ. ტიბერეცში—ჩეხურ ენაზე.

წითელი სკაუტების ზრდამ და აქტიურმა მუშაობამ ბურჟუაზიის ყურადღებაც მიიქცია. დაუწყეს მას დევნა და შევიწროება მთავრობამ, პოლიციამ და ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებმა. თავისი ჟურნალის ზოგიერთი ნომრების გამოშვება ბავშებს ორჯერ უხდებოდათ, რადგანაც პირველად პოლიცია უშვებოდა მას კონფისკაციას.

აი წითელ სკაუტთა ჯგუფზე თავდასხმის დამახასიათებელი შემთხვევა.

ერთ-ერთ პატარა ქალაქში წითელმა სკაუტებმა გადასწყვიტეს კვირას წასვლა მახლობელ სოფელში აგიტაციისათვის. ამის შესახებ გაიგო ერთმა პოლიციელმა. მან სასწრაფოდ შეატყობინა ტელეფონით სოფლის პოლიციას, რომ ქალაქიდან გამოვიდა შეიარაღებული კომუნისტების ჯგუფი, რომ ხელში ჩაიგდოს სოფელი და გამოაცხადოს მასში საბჭოთა ხელისუფლება. ხსენებული სოფლის ხელისუფლებას ძლიერ შეეშინდა და სასწრაფოდ გამოაგზავნეს ერთი რაზმი ჟანდარმებისა (ცხენოსანი პოლიციელებისა), რომ სოფლის წინ დახვედროდენ „შეიარაღებულ კომუნისტებს", წითელ სკაუტებს.

მიმავალი ბავშები არაფერს არ გრძნობდენ, მიდიოდენ მხიარულად და მღეროდენ სხვადასხვა რევოლუციონურ სიმღერებს. მოულოდნელად ბუჩქებიდან გამოძვრენ ჟანდარმები და ალყა შემოარტყეს მათ.

თვითონ ჟანდარმებიც ძლიერ გაკვირვებული დარჩენ, როდესაც გამძვინვარებული, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული კომუნისტების მაგიერ მათ დაინახეს 12—14 წლის მშვიდად მიმავალი ბავშები. იმათ მაინც დაატუსაღეს ეს პატარა ბავშები, თუმცა რამოდენიმე ხნის შემდეგ მაინც იძულებული შეიქნენ ისინი გაეთავისუფლებიათ.

164 ეროვნული ბიბლიოთეკა

1922 წელს მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც „ბავშვების აღზრდა სახელმწიფოს საქმეა“, ამიტომ ყველა ბავშვთა ორგანიზაციები, რომლებიც არაა დამტკიცებული განათლების სამინისტროს მიერ, დაშლილი უნდა იქნან, მოწაფეებს თავიანთი სკოლის ადმინისტრაციის ნებადაურთველად არ აქვთ უფლება შედიოდენ რომელიმე ბავშვთა ორგანიზაციაში, დაესწრონ კრებებს, საღამოებს და სხვა.

ამ განკარგულების შემდეგ წითელი სპორტეტების ჟურნალები დახურეს, უკანასკნელ ნომრებს კონფისკაცია უყვეს, ხოლო თვით ჯგუფები კი ოფიციალურად დაშალეს. მაგრამ სინამდვილეში ეს ჯგუფები მაინც განაგრძობენ მუშაობას. მთავრობას შეეშინდა მუშათა უკმაყოფილების და სასტიკად ვერ გაატარა თავისი დადგენილება.

1924 წლის დასაწყისში გამოდის ყოველთვიური ჟურნალი „ცეცხლი“ 4000 ცალის რაოდენობით; ხშირად მას კიდეც სდევნიან, ჯარიმას ახდევინებენ, კონფისკაციას უშვებიან, მაგრამ ჟურნალი მაინც განაგრძობს არსებობას.

ამავე წლის 27 და 28 სექტემბერს პრაგაში მომხდარმა ყრილობამ გააერთიანა ყველა დაქსაქსული ჯგუფი ერთ ორგანიზაციაში — „შრომის სპარტაკის სკაუტებში“, რომელიც შემდეგ შეეერთდა წითელი სპორტსმენების საზოგადოების ფედერაციას.

1925 წლის ზაფხულში მოწყობილ იქნა ქ. ტირშოვში წინამძღოლთათვის ბანაკი.

მაგრამ წითელი სპარტაკების—სკაუტების დევნა მაინც გრძელდება.

1925 წლის 9-14 მაისს ქ. კოშიკაში გაასამართლეს 28 ბავში, რომელთაც ბრალს სდებდენ იმაში, რომ თითქოს მათ შეექმნათ მებრძოლი რაზმები ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ორ მათგანს გადაუწყვიტეს თითო წლით სატუსაღოში ჯდომა, ხოლო ცხრას კი ხუთ-ხუთი თვით.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში პიონერთა გამოცემებს 726-ჯერ უყვეს კონფისკაცია, გადაახდევინეს ჯარიმა და აკრძალეს.

ქ. ლუკენცში ამ რამოდენიმე ხნის წინათ პოლიციამ დააჯარიმა სპარტაკელთა სკაუტები წითელი დროშით დემონსტრაციის გულისათვის. ასეთი დევნის და შევიწროების მრავალ ფაქტს აქვს ადგილი ჩეხო-სლოვაკეთში.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, წითელ სპარტაკელ-სკაუტების ორგანიზაცია სწრაფად იზრდება და დღეს ის თავის რიგებში აერთიანებს 5000 ბავშს, 200 კოლექტივში.

სპარტაკელ-სკაუტების კოლექტივები აქტიურ მონაწილეობის იღებენ კომპარტიის და კომკავშირის მიერ მოწყობილ ყველა დემონსტრაციაში და კამპანიაში, აკრავენ პლაკატებს და ფურცლებს, აწყობენ სანიტარულ პუნქტებს და სხვ. მაგრამ მათ ჯერ კიდეც ვერ ვუწოდებთ ნორჩ პიონერებს, რადგანაც სპარტაკელ სკაუტებს შორის ძლიერ ბევრია მოზრდილი ბავში, რომლებიც ჰასაკის მიხედვით უნდა ირიცხებოდენ კომკავშირში. ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ბავშს ჯერ კიდევ ნათლად არ აქვს წარმოდგენილი, რომ ის კომკავშირის შემცვლელი ძალაა, რომ უნდა ემზადებოდეს მის რიგებში შესასვლელად, რომ გაძლიერებულად უნდა ეხმარებოდეს და მონაწილეობას იღებდეს კომკავშირის მუშაობაში.

უკანასკნელი დროის განმავლობაში კომკავშირმა გააძლიერა თავისი ხელმძღვანელობა სპარტაკელ სკაუტებზე და მტკიცედ ეახლოვებს მას ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავეხმაროთ ჩინეთის მშრომელთა ბავშვებს

(დავალებანი ქალაქის კოლექტივებისათვის)

რა უნდა გავაკეთოთ.

ეროვნულ-რევოლუციონური ბრძოლა ჩინეთში თანდათან ფართოვდება. ამ ბრძოლის მიზანია ჩინეთის მშრომელი ხალხი გაათავისუფლოს უცხოეთის ბურჟუაზიის ჩაგვრა—შევიწროებისაგან. ს. ს. რ. კ. კომკავშირი უკვე იწყებს ჩინეთის დახმარების საქმეს. ასევე, თვითეულმა პიონერ-კოლექტივმა და პიონერმა უნდა იცოდეს, თუ რა ხდება ჩინეთში. ის უნდა დაეხმაროს ჩინეთის მშრომელთა ბავშვებს, ხელი შეუწყოს ჯერ კიდევ ნორჩ ბავშთა კომუნისტური მოძრაობის განვითარებას ჩ ნეთში, რითაც ჩვენი პიონერები შეასრულებენ თავიანთ მე-3 კანონს.

ამ მუშაობის ჩასატარებლად ქალაქის კოლექტივებს ეძლევა შემდეგი დავალებანი:

1) შეისწავლონ ჩინეთის მშრომელთა და მათი ბავშვების ბრძოლა ჩინეთში.

2) დაეხმარონ პრაქტიკულად ჩინეთის ბავშვებს.

3) ჩატარებულ იქნას საუბარი მშობლებთან და შეუკავშირებელ ბავშვებთან. აგრეთვე შეუკავშირებელი ბავშვები ჩათრეულ იქნან დავალებათა შესრულებაშიც.

როგორ ჩავატაროთ მუშაობა.

წინამძღოლთა საბჭო წინასწარ არჩევს დავალებას და შემდეგ ის გამოაქვს გასარჩევად კოლექტივის კრებაზე. რგოლების წინამძღოლთა შემდეგ კრებაზე ყველას ეძლევა სათანადო დავალება:

უფროს რგოლს: შეაგროვოს მასალები ჩინეთის ხალხის ცხოვრების განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ, ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ და უცხოეთის ბურჟუაზიის მიერ მათი ექსპლოატაციის შესახებ.

საშვალო რგოლს: შეაგროვოს მასალები ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობის შესახებ (მართვა-გამგეობა, ბრძოლა და სხვა). ჩატარებულ იქნას საუბარი:

„რისთვის იბრძვიან ჩინეთის მუშები და გლეხები“.

უმცროს რგოლს: შეაგროვოს მასალები (გაზეთები, ჟურნალები და მათგან ამონაჭრები) ჩინეთის ბავშვების ცხოვრების შესახებ, ჩინეთის პიონერების მუშაობის შესახებ, დაიზეპირონ საინტერესო ლექ.ი და წაიკითხონ მოთხრობა ჩინეთის ბრძოლის შესახებ.

კოლექტივის კრებაზე უნდა მოსმენილ იქნას რგოლების მიერ დავალებათა შესრულების შესახებ მოხსენება. სასურველია, რომ პიონერებმა რადიოს საშვალებით მოისმინონ უკანასკნელი ცნობები ჩინეთის შესახებ.

როდესაც ყველაფერი ეს შესრულებული იქნება, მაშინ კოლექტივის საბჭოს შემდეგ სხდომას შეუძლია მისცეს ახალი დავალებანი:

უფროს რგოლს: პარტიულის, წითელი არმიის მუშაკის ან პროფკავშირის დახმარებით მომზადებულ და ჩატარებულ იქნას საუბარი: „როგორ ვითარდება და მიმდინარეობს სამხედრო მოქმედება ჩინეთში“, შედგენილ იქნას ჩინეთის რუქის სქემა, კარიკატურები კონტრ-რევოლუციონურ მეთაურებზე, მაგალითად, ჩან—კაი—შიზე და სხვ.

საშუალო რგოლს: გამოარკვიოს, თუ სად და როგორ იქნას მოწყობილი ჩინეთის კუთხე. შეუკავშირებელ ბავშვებთან ერთად ჩატარებულ იქნას საუბარი ჩინეთის ბავშვების ცხოვრების შესახებ.

უმცროს რგოლს: ჩაატაროს მეცადინეობა სახლში, სადაც უნდა დაამუშაოს მასალები ჩინეთის ბავშვების ცხოვრების შესახებ. შეიძლება გაკეთებულ იქნას ალბომი, რომელშიაც მოთავსდება ცნობები ჩინეთის შესახებ, გაზეთებიდან ამონაჭრები, სურათები და სხვა.

168 ეროვნული ბიბლიოთეკა

რგოლების ყველა მეცადინეობაზე შესწავლილი და ჩატარებული უნდა იქნას თამაშობანი ჩინეთის ბრძოლის და ცხოვრების შესახებ.

კოლექტივის კრებაზე შეიძლება მოსმენილ იქნას რგოლების მიერ ჩატარებული მუშაობის საანგარიშო მოხსენება.

საჭიროა აგრეთვე მოწვეულ იქნას პარტიული ამხანაგი ან წითელარმიელი, რომელიც ჩაატარებს მოხსენებას ჩინეთის უკანასკნელი ამბების შესახებ (სასურველია, მოხსენების დროს გვქონდეს რუქაც, რომლის ნახვაც შეიძლება გაზეთში, ჟურნალ „პიონერის“ №7 და სკოლაში).

კოლექტივის შემდეგ კრებაზე შეიძლება რგოლს მიეცეს კიდევ ახალი დავალებანი: გამოარკვიონ, თუ რით და როგორ დაეხმარონ ჩინეთის ბავშებს. ამისათვის შეიძლება შემოწირულების შეგროვება, აგრეთვე შეიძლება მოწყობილ იქნას „ჩინეთის საღამო“, რისთვისაც რგოლებს მიეცემა შემდეგი სანიმუშო დავალებანი:

უფროს რგოლს: ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა „ჩინეთის საღამოსათვის“ (პიესის დადგმა, სინათლის გაზეთი და სხვა).

საშვალო რგოლს: ნაწილობრივ მონაწილეობის მისაღებად მოემზადოს (დეკლამაცია, თამაშობანი, სპორტ-გამოსვლა და სხვა).

უმცროს რგოლს: მოიწვიოს საღამოზე შეუკავშირებელი ბავშები და დიდები.

საჭიროა გაეგზავნოს წერილი ჩინეთის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებს (მთელი კოლექტივის სახელით დასწერს რომელიმე რგოლი).

რგოლის მეცადინეობაზე და შემდეგ კოლექტივის საბჭოზე გამორკვეულ იქნას, თუ რა შედეგი მიიღეს პიონერებმა ამ დავალების შესრულებით. რგოლებმა პრესაში (კედლის გაზეთში, ჟურ. „პიონერში“) უნდა გააშუქონ, თუ როგორ დაამუშავეს დავალება.

შემდგომისათვის საჭიროა განუწყვეტლივ ადევნონ თვალყური პიონერებმა ჩინეთის ამბებს, გაეცნონ ჩინეთის ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ცხოვრებასა და მუშაობას, რისი შესრულებაც უნდა დაევალოს ერთ რომელიმე რგოლს.

კოლექტივის წინამძღოლი კარგად უნდა გაეცნოს ჩინეთის ამბებს. ამისათვის მან ყოველთვის უნდა ათვალიეროს ჟურნალები და გაზეთები.

დავალებათა შესრულების შემდეგ ა. ლ. კ. კ. უჯრედის საერთო კრებაზე გათვალისწინებულ იქნას ჩატარებული მუშაობა და გაუკეთდეს მას ჯამი. კომკავშირი ნორჩ პიონერთა კოლექტივს ამ დავალებათა შესრულების დროს ყოველკვარ დახმარებას უნდა უწევდეს.

ს. ნ. პ. ც. ბ. (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკასთან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ვაკეთოთ ზაფხულის განმავლობაში.

პიონერებმა უკვე დაიწყეს ბანაკად წასვლა. საერთოდ ყველა ბავში ეძებს დასასვენებელ ადგილებს და ზოგი სოფელში მიეშურება, ზოგი აგარაკზე.

ისინი უკვე ფიქრობენ იმის შესახებ, თუ როგორ გაატარონ უკეთესად ზაფხული, რომ დაისვენონ და წაიმუშაონ სუფთა ჰაერზე, იბანაონ და ძალ-ღონე მოიკრიფონ.

ბავშები იმის შესახებაც ფიქრობენ, თუ როგორ დაეხმარონ, საქმით და არა მარტო სიტყვით, სოფელს, გლეხებს და მათ მეურნეობას. ერთი ნაწილი ახლა ემზადება იმისათვის, თუ როგორ დაზომოს საკუთრივ გაკეთებული ხელსაწყოებით საერთო მიწა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად გამოდგება ის ქოხ-სამკითხველოს ან სასოფლო სკოლის მოსაწყობად. მათ აგრეთვე სურთ გამოარკვიონ, თუ რა მანძილითაა ერთმანეთისაგან დაშორებული მახლობელი სოფლები და დაარსონ გზებზე მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები.

მეორენი აგროვებენ მასალებს და ემზადებიან იმისათვის, თუ როგორ ჩამოაყალიბონ და მოაწყონ საზაფხულო მოედანი სოფლად; აკეთებენ სათამაშო ხელსაწყოებს პატარებს გასართობად. ასეთ მოედნებზე თავისი მეთვალყურეობის ქვეშ შეუძლიათ პიონერებს აიყვანონ პატარები, როდესაც მათი მშობლები მინდვრად არიან წასული სამუშაოდ.

ნორჩი ნატურალისტები ემზადებიან ბუნების შესასწავლად. ზაფხული ყველაზე უფრო ხელსაყრელია ამისათვის. ისინი ბევრს ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ მოაწყონ ფოტოგრაფიული აპარატი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება რაიმეს გადაღება მანძილზე. მაგალითად, როგორ მოახერხონ, რომ დაუახლოვონ აპარატი ჩიტის ბუდეს, სადაც ბარტყებია, და გადაიღონ, რომ გამოიხატოს სურათზე, თუ როგორ სჭამენ ჩიტები და სხვა.

პატარა ავიატორები ფიქრობენ იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ თავისთვის მოდელები და საერთო შეჯიბრებანი, რომელზედაც გამოირკვევა, თუ ვის რა მიხწევები აქვს.

არიან ისეთი ბავშებიც, რომლებსაც სურთ მოაწყონ ქარის ან წყლის ძრავი. ამ ძრავით შეიძლება ამოძრავება პატარა დინამოსი და ჯიბის ელექტრო-ლამფის განათება. ასეთი ელექტრო-სადგური ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იქცევა ქარის ან წყლის ძალა ელექტრობად, თუ როგორ შეიძლება ამ ძალის გამოყენება. ამ გზით მშვენივრად შეიძლება ელექტროფიკაციის პროპაგანდა.

რადიოს მოყვარულნი ფიქრობენ მინდვრის ტელეფონზე, ტელეგრაფზე და თვით თავისი რადიო-სადგურის შესახებ, რომლის საშვალებითაც შესაძლებელი იქნება ტელეგრაფის ნიშნების გადაცემა უმავთულოდ. ამ საქმეში ჩვენს პიონერებს კარგი მიხწევებიც აქვთ.

ბავშები ფიქრობენ აგრეთვე მათ მიერ გაკეთებული ნავების, სხვადასხვა შენობების, ბუნების სხვადასხვა მოვლენებზე თვალყურის დევნების და საექსკურსიო ლამის სათევზ ბინების მოწყობის შესახებ.

არიან ბავშები, რომლებმაც იციან საინტერესო თამაშობანი და გართობანი, მაგრამ რომლებიც მხოლოდ მათთვის არიან ცნობილი.

მრავალი ბავში აკეთებს საინტერესო საგნებს და მოდელებს, ხოლო სხვებმა კი არც იციან, თუ რა აკეთონ.

მოდით, ბავშებო, ჩვენი ჟურნალის „პიონერის“ ფურცლებზე ვისაუბროთ ჩვენი ცდების, ჩვენი ნებასურვილების და გამოცდილების შესახებ, გავიგოთ, ვინ როგორ მუშაობს ზაფხულის განმავლობაში, რა მიხწევები და ნაკლი აქვს ამ დარგში.

გამოგზავნეთ რედაქციაში თქვენი წინადადებანი შეკითხვები.

ველით თქვენს წერილებს.

166
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თევზის ჭერა

ოჰ, რა სასიამოვნოა ზაფხულის წყნარ და ნათელ საღამოს ჯდომა მდინარის ან ტბის პირას, როდესაც ბუნების სიმშვენიერითაკ სტკბები და ამავე დროს თევზაობ კიდეც.

თევზის ჭერა შეიძლება ბადით და ანკესით. ბადით უფრო ძნელია, ვიდრე ანკესით, თანაც ბადის შოვნა არც ისე ადვილია, ანკესის გაკეთება კი ყოველ თქვენგანს შეუძლია.

ანკესით თევზის ჭერისათვის აუცილებლად საჭიროა: ანკესები, ვედრო თევზების მოსათავსებლად და თუნუქის კოლოფი ჭია-ღუებისათვის.

ანკესი შესდგება ხუთი ნაწილისაგან: 1) ანკესის ტარი, 2) წვრილი ნაწნავი, 3) მცურავა, 4) მტვირთავი და 5) თვით ანკესი.

1. ანკესის ტარი. ანკესის ტარს ჰყიდიან. ეს არის წვრილი და დასაკეკი ლერწამი, მაგრამ ძნელი არ არის მისი გაკეთება. ამისათვის თქვენ უნდა ამოარჩიოთ წვრილი, ნორჩი და გრძელი ხეხილის ტოტი. ასეთის პოვნა ადვილია ხშირ ტყეში. მისი მოჭრა კარგია აპრილში.

ანკესის ტარი უნდა იყოს სწორი, გრძელი, წვრილი, დრეკადი და მაგარი.

ანკესის ტარი რომ სწორი იყოს, ამისათვის საჭიროა მოიბას იგი ერთი წვერით სახლის სახურავზე და მეორე წვერზე მოიბას სიმძიმე. თუ ეს მზიან დარში იქნება ნამოქმედარი, მაშინ იგი მალე გამოშრება და გამოშრობასთან ერთად გასწორდება კიდეც.

გასწორების შემდეგ ასუფთავებენ მას შუშით და მსხვილ ჰხარეს კი წაუთლიან წვერს, რომ ადვილი იყოს მისი მიწაში ჩამაგრება. კარგია აგრეთვე, რომ ყველა ამის შემდეგ ანკესის ტარი შეიღებოს რაიმე საღებავით, იგი ამით უფრო მტკიცე იქნება, თუმცა უამისობაც შეიძლება.

2. წვრილი ნაწნავი. კარგი იქნება ამის ყიდვა. იგი ძვირი არაა. უნდა იყიდოთ თეთრი ფერისა, 4 ან 6 ძუა. 6 ძუის ნაწნავი საჭიროა დიდი თევზისათვის, დიდ მდინარეში. ის მზადდება აგრეთვე აბრეშუმისაგანაც. უკანასკნელი უფრო მაგარია, ვიდრე ძუისა. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მოხმარება მაგარი ძაფისა. ჩვენ მაინც ავხსნით, თუ როგორ უნდა დაიწნას იგი.

აიღეთ ცხენის ოთხი ძუა და ისე დააწყვეთ, რომ ორი წვერი ერთ მხარეს იყოს და ორი კიდევ მეორე მხარეს. შეჰკარით ჩვეულებრივი კვანძით და კედელზე ლურსმნით დაამაგრეთ. აიღეთ ორი ძუა მარცხენა ხელში და ორი კი მარჯვენაში, ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის, ისე, როგორც ნაჩვენებია სურათზე. შემდეგ დაიწყეთ გრეხა ამ ძუებისა ისე, როგორც ნაჩვენებია სურათზე ისრების საშუალებით. ამავე დროს მარჯვენა ხელი მარცხენის ქვევით უნდა დასწიოთ და როდესაც თითები ძუის გრეხის გამო კარგა მოიღუნება, მაშინ წვერს (ბ) მარცხენა ხელიდან გადაიტანთ მარჯვენა ხელში, სადაც იკავებთ მას შუა თითით. (იხ. სურათი 2)

ახლა აუჩქარებლივ იღებთ მარცხენა ხელში მარჯვენა ხელიდან წვერს (ე), მარჯვენა ხელით კი იკავებთ წვერს (ბ) და კვლავ დაიწყებთ გრეხას, კვლავ მოაქცევთ მარცხენა ხელს მარჯვენას ქვეშ, კვლავ შეცვლით წვერებს და იწყებთ გრეხას.

ასე იწვნება საერთოდ თოკები და გირჩევთ ეს ხერხი კარგად შეისწავლოთ, რადგან ცხოვრებაში ძლიერ ხშირად გვჭირდება მისი ცოდნა.

დაწვნის დამთავრების შემდეგ ოთხივე წვერი შეიკვრება ჩვეულებრივი კვანძით და ნაწნავის ნაწილი მზად იქნება. ასეთივე საშუალებით გააკეთებთ რამდენიმეს. მერე ერთმანეთს გადაებამთ და ანკესის მეორე ნაწილი მზად იქნება.

მცურავა. მცურავას გაკეთება ძლიერ ადვილია. მისი ყიდვა არა ღირს. აი მისი გაკეთების ხერხიც:

აიღეთ პრობკა (ა) ლუდის ბოთლიდან და შუაში გაუყარეთ ქათმის ანდა ბატის ფრთა (ბ). ფრთის ქვედა ნაწილში უნდა ჩაუცოთ გათლილი ჯოხი პრობკის მაგვარად. პრობკა უნდა გაითალოს ისე, რომ კვერცხის მოყვანილობა მიეცეს. ბატის ფრთაში გაყრილ ჯოხს კი ნაპირებზე უნდა დაემაგროს პატარა რგოლები წვრილი მავთულისაგან. მცურავა მზად არის.

მტვირთავი. მტვირთავად გამოდგება ტყვიის ნაჭრები სხვადასხვა ზომისა, თევზების სიდიდის მიხედვით გამოსაყენებლად.

როგორ უნდა აეწყოს ანკესი?

წვრილი ნაწნავი ერთი წვერით უნდა მიაბათ ანკესის ტარის წვრილ ნაპირს, მაგრამ მთლად წვერზე კი არა, არამედ მეტრ-ნახევარის დაშორებით წვერიდან. ნაწნავი დამაგრდება და შემდეგ მთელ ტარს უნდა შემოახვიოთ მეორე ნაპირამდე, რადგან შესაძლებელია ტარი გადატყდეს და მაშინ ნაწნავიც დაიკარგება. მცურავა ისე უნდა დამაგრდეს, რომ ყოველთვის შეგეძლოსთ მისი წაწევ-წამოწევა. ის უნდა დამაგრდეს შემდეგნაირად: ნაწნავის თავისუფალი წვერი უნდა გაუყაროთ ფრთაში (ბ. ვ.),



თევზის საჭერი ხელსაწყოები.

იმ ნაწილით კი, საიდანაც ფრთაში გაყრილია ჯოხი, სასურველ ადგილას შეიძლება მცურავას დაყენება.

მტვირთავი უნდა დამაგრდეს 20-25 სმ. მაღლა ანკესის წვერიდან, მტკვირთავის დასამაგრებლად საფანტი ან ტყიის ნაჭერი დანით ნახევრად უნდა ჩაიჭრას შუაგულამდე, შემდეგ მასში გატარდეს ნაწნავი და მოჭერილ იქნას ხელსაწყოთი ისე, რომ ტყვია ნაწნავზე დამაგრდეს (ეს ნაჩვენებია სურათზე 6-ა და 6-ბ.).

ანკესის წვერი მაგრდება შემდეგნაირად:

ნაწნავის წვერს გადაჭლუნავენ 10 სმ. სიგრძით და მიღებულ (მ) ყულფს მიიტანენ ანკესთან ისე, როგორც ნაჩვენებია სურათზე 7-ა. წვერ კ-ათი იწყებენ გარშემოვლებას ანკესისას და იმაშივე ახვევენ აგრეთვე წვერს ლ-ს.

შეხვევა იწყება ანკესის რგოლიდან (იხ. სურათი 7-ბ) და გრძელდება $1^1/_2$ სანტიმეტრამდე (იხ. სურათი 7-ვ. აქ წვერი კ უნდა შეუყაროთ ყულფ მ-ში და წვერი ლ კი იმ დრომდე სწოროთ ძირს, ვიდრე ყულფი მ არ დაიწევს დაბლა (იხ. სურათი 7-გ).

ამ სახით ანკესი მთლად მზად არის და მით უკვე შესაძლებელია თევზაობა.

უკანასკნელი სამზადისი.

საჭიროა ჭიაღუების მოგროვება. გამოსადეგი არიან წვიმისაგან წარმოშობილი ჭიაღუები. საჭირო არ არის მიწის თხრა მათ საპოვნელად, საკმარისია მხოლოდ დიდხანს ერთ ადგილზე მდგარი კასრი ან რამე ხე აიწიოს, რომ მის ქვეშ ნახოთ მრავალი მატლი.

მატლი ანკესზე ისე უნდა ჩამოაცვათ, რომ მან მთლად დაჰფაროს ანკესის წვერი.

(იხილე სურათი № 8. სურ. ა სწორე არ არის, სურ. ბ სწორეა).

მცურავა, თუ წვრილ თევზებს იჭერთ, წყლის ნახევარ სიღრმეზე უნდა დააშოროთ ანკესის წვერს, და თუ დიდრონი თევზები გსურთ დაიჭიროთ, მაშინ უფრო ღრმად უნდა ჩაუშვათ ანკესი.

დასკვნა.

1. თევზის ჭერა კარგია დილაზე მზის ამოსვლამდე და აგრეთვე მზის ამოსვლისას, ანდა საღამოთი მზის ჩასვლამდე. არ ვარგა შუადღისას.

2. ვედროში უნდა ჩაასხათ წყალი და დროგამოშვებით გამოცვალოთ, რომ შეიძლებოდეს თევზების სახლში ცოცხლად მოყვანა.

3. კარგია თევზების ჭერა ნაპირებში შემოჭრილ წყალში, სრულებითაც არ არის ხელსაყრელი ჩქარ წყალში თევზის ჭერა. კარგია აგრეთვე წისქვილების ახლოს.

4. არ ვარგა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლა. მოთმინება უნდა იქონიოთ და ელოდოთ ერთ ადგილას წყალში ჩაშვებული ანკესის თევზის მიერ ამოძრავებას.

5. შეიძლება დაჭერა აგრეთვე ერთდროულად ორი ანკესითაც, მაგრამ, ცხადია, მაშინ საჭიროა მეტი ყურადღება.

6 მდინარის პირას არ უნდა იყოს ხმაური და ხმამაღალი ლაპარაკიც არ ვარგა, რომ თევზი არ შეშინდეს, არ დაფრთხეს.

7. როდესაც მცურავა დაიწყებს რხევას, ეს ნიშნავს თევზის ანკესზე წამოცმას. მაგრამ ამ დროს უნდა ეცადოთ აუღელვებლივ ამოსწიოთ ანკესი წყალს ზევით. უცბად ამოღებით შესაძლებელია თევზის მოწყვეტა ანკესიდან.

8. ანკესი უნდა სწიო არა მარტო ზევით, არამედ გვერდითაც, რომ ანკესი თევზს არ ამოსძვრეს. გვერდზე წევით ანკესი უფრო ღრმად ჩასწვდება თევზს სხეულში.

167 ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრონომის საუგარი

მებაღეობა.

ჩვენი ქვეყანა სავსეა ბაღებით და მისი შემოსავლით მრავალი ჩვენი გლეხის ოჯახი ცხოვრობს.

მებაღეები ხეხილს უმთავრესად მყნობით ამრავლებენ, რადგან ბუნებრივად გამრავლებულნი, ე. ი. თესლით, ისინი ხშირად გადაგვარდებიან ხოლმე, წვრილდებიან. დასამყნობად ჯერ ორ წელიწადს ზრდიან თესლიდან ამოსულ უბრალო პანტა-მაჟალოს, ბალამწარს, ტყემალს, ორმლებსაც ზოგან ბაყილოებს, საძირეებს თუ უჯიშოებს ეძახიან, და შემდეგ კი ამეებზე ამყნობენ კარგი ჯიშის ვაშლებს, მსხლებს, ქლიავს, ატამს და სხვას.

ჩვენში ასეთი უჯიშო ბაყილოების გაზრდა-გამოყვანა ყველას შეუძლია, რადგან ჩვენებური ტყემინდორი სავსეა ასეთი პანტა-მაჟალოთი და იმდენად კარგი ხარისხისაც არის, რომ ის წინათ რუსეთშიც კი მრავალი გაჰქონდათ. ყოველგვარი მცენარე მხოლოდ დასრულებული მომწიფებული თესლიდან იჩეკება, მწიფე თესლი კი მხოლოდ შემოსულ მწიფე ნაყოფშია ხოლმე; ამიტომ, პანტა-მაჟალო სათესლედ აუცილებლივ შემოდგომაზე უნდა დაიკრიფოს, მხოლოდ სხვები, კურკოვანები კი გაცილებით ადრე. თესლს სიმწიფე ფერზე ეტყობა, ის ამ დროს უფრო მუქია და სრულებით დამსხვილებული, გამაგრებული.

თესლის გარჩევა ნაყოფიდან შეიძლება დაბეგვით და შემდეგ კი მსხვილ საცრებზე გახეხვით, როგორც ეს იციან ჩვენმა დიასახლისებმა ტყემლის ტყლაპის გაკეთების დროს. კურკოვან ხილს, ტყემალს, ბალამწარას ხშირად ხორცს არც კი აცლიან და ისე მოკრეფისთანავე სთესავენ, თუმცა ესენიც უმჯობესია გარეცხილი და გასუფთავებული დათესოს.

გაწმენდილი თესლი აუცილებლივ გრილში უნდა გაშრეს და არა მზეზე (ეს კანონი ყველა თესლეულობაზე ვრცელდება), რადგან მზე გაშრობაში თესლს ძალიან აფუჭებს. გამზადებული, ოდნავ ნამშრალი თესლი უკეთესია მაშინვე შემოდგომაზე კვლებში ჩაითესოს, მხოლოდ თუ ამის საშუალება არ არის, ის გაზაფხულამდე აუცილებლივ სველ ქვიშაში უნდა შევინახოთ, ე. ი. სტრატიფიკაცია გავუკეთოთ.

სტრატიფიკაციისათვის იღებენ სამჯერ იმაზე მეტ ქვიშას, რაც ზომით თესლი იქნება; მაგალითად, თუ თესლი ჩვენ ერთი ჭიქა მოგვეპოვება, მაშინ სამი-ოთხი ჭიქა ქვიშა უნდა გადავურიოთ. ქვიშა არ შეიძლება იყოს მლაშე, ზღვის, და არც ძლიერ წვრილი ლამი, რომელიც ჰაერსაც კი არ ატარებს ხოლმე. უკეთესია ხვირიში, მიწიდან სრულიად განთავისუფლებული მდინარის ქვიშა, რომელსაც ჩვენი კალატოზები კედლების ბათქაშად, გასალესად ხმარობენ ხოლმე და რომლის სიმსხო ფეტვის მარცვალს უნდა უდრიდეს. თუ ასეთ ქვიშაში ბევრი მიწა ურევია, ის უმჯობესია გარეცხვით მოაცილოთ. ასეთ შესველებულ ქვიშაში არეულ თესლეულობას ყრიან დაბალ, თითო ციდა სიმაღლის ყუთებში და სადმე გრილ მოფარებულ ადგილს სდებენ, უფრო კედლის ჩრდილოეთ მხარეს, რომ ყინვამ კარგად იმოქმედოს; დაბალი ყუთი იმიტომაა საჭირო, რომ მას ყინვა, თოვლის სინესტე ძირამდე ჩასწვდეს და გააღვივოს; მშრალად დათესილი თესლი კი ისევე სრულებით გაუღვიებელი დარჩება. სადაც ყუთები არ ეშოვებათ, იქ ასეთ თესლეულობას მიწის ორმოებში აღვივებენ. მხოლოდ აქაც მისი არე არ უნდა აღემატებოდეს 3—4 ვერშოკის სისქეს. ზოგან მას რუსის გლეხები ჩვეულებრივ მიწამიც კი ურევენ, გარდა თიხისა, რომელიც ამისთვის სრულიად გამოუსადეგარია.

ზამთარში, ქვიშაში შენახულ თესლს თებერვლამდე მორწყვა აღარ სჭირდება, რადგან ის ცის ქვეშ იმყოფება და სინესტეს მოკლებული არ არის, მხოლოდ გაღვივების დაჩქარების მიზნით კი თებერვლიდან ყოველდღე რწყავენ და თან გაღვივებასაც თვალყურს ადევნებენ; თბილი ადრეული გაზაფხულის მოლოდინში მას უფრო უხვად რწყავენ და ხშირად, მხოლოდ თუ ამ დროს ყინვებია, მაშინ კი მორწყვას უკლებენ და ყუთებიც სადმე ცივ სარდაფებში გადააქვთ, რომ გაღვივება დააგვიანონ.

თესვის წარმოების დროს სათესლე მასალა კარგად დამბალი და უკვე დახეთქილი ნასკვიანი უნდა იყოს, მხოლოდ თუ თესვა დაგვიანდა და ნასკვს ღილვი დაუგრძელდა, ცუდია, რადგან ღილვი ემტვრევა. პანტა-მაჟალოს ნათესებს ბოსტნეულივით გაზაფხულის ყინვების აკ. ეშინია და ამიტომ მისი დათესვა ჩვენში გაღვივებისთანავე მუდამ შეიძლება მარტში. თუმცა მარტის დაჟინებული თოვლ-ჭყაპი ზოგჯერ მოშუშავს ხოლმე მის ქორფა ფოთოლ ღეროს, მაგრამ ის ისევ ახალ ფოთლებს უშვებს და წელში სწორდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღვივებული, გინდ გაუღვივებელი თესლეულობის ჩათესვას ჩვეულებრივ კვლებში მწკრივად ან გაფანტვით აწარმოებენ. მწკრივად დათესვა უფრო ხელსაყრელია ყველასათვის, რადგან აქ ადვილდება ნათესების ყოველგვარი მოვლა, მხოლოდ გაფანტულ ნათესსაც თავისი უპირატესობა აქვს: ის, რომ ასე მეტი ეტევა ჩითილი და თაგვიც ადვილად ვერ პოულობს თესლს, თაგვი კი ყველა ნათესის დიდი მტერია.

პანტა-მაჟალოს თესლს აღმოსავლეთ საქართველოში თოხის პირით კვლების გარდი-გარდმო დაღარულ ხაროებში სთესავენ, რომლებსაც ერთიმეორესგან თითო ციდაზე აშორებენ. ამ ხაროებს დაახლოვებით სიღრმე ერთ გოჯ ნახევარი უნდა ჰქონდეს, მხოლოდ თითო გოჯის დადებაზე კი სამ-ოთხ თესლს აგდებენ და მიწას აყრიან. ამ შემთხვევაში, თუ აქ კვალში ჩითილს ვზრდით, რომელიც სულ მალე ნორჩობაშივე უნდა გადაირგას, კურკოვან თესლეულობას, ატამს, ტყემალს, ნუშს, ბალს, გაცილებით უფრო შორი-შორს უნდა თესვა და ამით თითქ[illegible]ის ყველას ცალ-ცალკე ხელით რგავენ სამჯერ თუ ოთხჯერ უფრო მოშორებ[illegible]ით, ვიდრე პირველებს. კურკოვანებს მიწის დაყრაც ზემოდან გაცილებით მეტი სჭირდება.

თესვას ხშირად უფრო ხელით აწარმოებენ, რისთვისაც მარჯვენაში იღებენ თესლს და დიდ თითებ შუა თითოს აცურებენ, ნაღარში ჰყრიან; თუ ვინიცობაა სადმე თესლი სქლად ჩაცვივდა, იქიდან ის სხვაგან უნდა გაფანტოთ, გაათხელოთ; ღარებში თესლები იქით-აქეთ, მისი გვერდებისკენ უნდა გაფანტოთ და არა ყველა ძირზე მწკრივად დაალაგოთ, რადგან მწკრივად დალაგებულ თესლს თაგვი უფრო მალე მიაგნებს ხოლმე და მუსრს ავლებს.

სადაც ნათესებს თაგვი ძალიან აფუჭებს, იქ შეიძლება კვლებს ერთი თითის სისქეზე ქვიშაც დაეყაროს, რომელიც აფრთხობს თაგვებს და გრილად და ფხვიერად ინახავს კვალს; თაგვების წინააღმდეგ უებარი წამალია თაგვმარილა, რომელიც უნდა გაერიოს ცომში და ორმოებში ჩაიყაროს.

კვლებში ამოსულ ჩითილს აუცილებლივ კარგი მოვლა-პატრონობა სჭირდება, რაც გამოიხატება მათ მორწყვაში, გაფხვიერებაში, გამარგვლაში და ზოგჯერ გადარგვაშიც.

ნათესი კვლების მორწყვა პირველი დღიდანვე იწყება და მეორდება ყოველდღე, საღამოობით, საცრიანი სარწყულებით, ვიდრე ნათესები ამოვიდოდეს; ნათესების მორწყვა პირველ ხანებში საცრიანი სარწყულებით სჯობია, მხოლოდ შემდეგ კი წყლის მიგდებითაც შეიძლება. ეს მიგდებით მორწყვა პირველ ხანებში სიფრთხილით უნდა წარმოებდეს, რომ ნათესი არ წალეკოს. ვისაც უნდა, რომ პანტა-მაჟალოს ჩითილი უფრო გაათამამოს, მან ესენი ზაფხულის განმავლობაში ორ-სამჯერ თხელი ჩხინტი პატივით უნდა მორწყას. ამისათვის 3 გირვანქა თხელ ახალ ნაკელს ერთ ვედრო წყალში ხსნიან და ნესტიან დარში კვლების ნათესს ასხამენ, თითო კვალზე ათიოდე ვედროს. ჩხინტი პატივი არ უნდა იყოს სქელი და რამდენადაც ის თხელი იქნება, იმდენად მას უფრო შეირგებს მცენარე.

გაფხვიერებით ძლიერ თამამდება ყოველგვარი მცენარე და აქაც იგი აუცილებლად საჭიროა. გაფხვიერებას გამარგვლასთან ერთად აწარმოებენ უფრო ხშირად დანის მაგვარი ბრტყელი რკინის სამარგლით. ამით ძალიან კარგად იჭრება ძირში ბალახი და კიდეც ფხვიერდება. თუ თესვა ძლიერ გვალვიან ადგილებში გვიხდება, და არც საკმარისი სარწყავი წყალი მოგვეპოვება, მაშინ შეიძლება კვლებს სინესტე დაჩრდილვით შევუნახოთ. ამ[illegible]ების დასაჩრდ[illegible]ლად გამოდგება: პატივი, ხავსი, ნაცარი, ნახერხი, ბზე, ფოთოლი და სხვაც, რაც კი მეურნეობაში რამ მოიპოვება. ერთი სიტყვით, ვისაც უნდა, რომ უჯიშოების კარგი ჩითილი აღზარდოს, მან აუცილებლივ ამის ნათესი კვლები სუფთად გამარგლული, გაფხვიერებული უნდა შეინახოს.

უკანასკნელი მუშაობა ჩითილებთან კი იქნება მათი კვლებიდან ისევე კვლებში ხალვათ მანძილზე გადარგვა 4—2 გოჯის სიშორეზე; მაგრამ ეს სამუშაო ცოტა ძნელი საქმეა და არც სავალდებულოა, რადგანაც საძირეები უამისოდაც კარგად იზრდება.

აგრონომი დანელია

168
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნ ა ვ თ ი

(დასასრული)

ნავთის ამოღება. უწინ ნავთის ამოღება დედამიწის გულიდან უბრალოდ ხდებოდა: ამოთხრიდენ ჭას. ჭაში ჩადგებოდა ნავთი და ამოჭქონდათ კასრებით. ამნაირი წესი ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ კიდევ არსებობდა ბაქოში აქა-იქ, შინამრეწველურ წარმოებებში. მაგრამ საერთოდ ნავთის ამნაირად ამოღება უარყოფილ იქნა და ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნის 60 იან წლებში შემოიღეს ამერიკაში მიწის ბურღვა: მიწაში ასობენ ლითონის უზარმაზარ ლომს, ანდა ბურღავენ ისე, როგორც ბურღით ხეს.

პირველ წესს ეძახიან დარტყმით ბურღვას, მეორეს კი ბრუნვით ბურღვას. ამნაირად გაჭრილ მიწას ჭეარავენ შიგნით რკინის მილით და ზევიდან მიწაზე აშენებენ კოშკს.

ამნაირი მილიდან ნავთი აირის გავლენით ამოდის მაღლა, მაგრამ დედამიწის ზედაპირამდის ვერ ახწევს და მაშინ მას ტუმბავენ.

ხანდახან ნავთი ვეება შადრევანივით ამოდის ზევით. ამნაირი შადრევანით შეიძლება დღეში ასიათასობით კილოგრამი ნავთის დაგროვება დღედაღამეში.

შადრევანი სცემს რამოდენიმე დღის განმავლობაში და დგება ნავთის ტბები და მდინარეები, შემდეგ კი თანდათან ცხრება.

ნავთი საწვავი ნივთიერებაა, ამიტომაც ნავთის წარმოებებში განსაკუთრებულად ადევნებენ თვალყურს, რომ ხანძარი არ მოხდეს. მაგრამ მაინც ხდება ხოლმე და ხშირად საშინელი ზარალი და განადგურება მოაქვს.



ზ ე ვ ი თ — ბაქოს ნავთის სარეწავთა ერთ-ერთი უბნის საერთო სურათი.
ქ ვ ე ვ ი თ აშენებენ სარეწავისათვის ელექტროსადგურს.

ნავთის მარაგი ნავთის ყველაზე მეტი მარაგი არის ს. ს. რ. კავშირში. მეცნიერების ანგარიშით, ეს მარაგი შეადგენს 2 მილიარდ 900 მილ. ტონას, ე. ი. მთელი ქვეყნიერების ნავთის მარაგის 37% დაახლოვებით. შემდეგი ადგილი უჭირავს სამხრეთ ამერიკას — მთელი ქვეყნიერების მარაგის 16%. შემდეგ მიდის ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები — 12% და მექსიკა — 8%.

ევროპაში ს. ს. რ. კავშირს გარდა ნავთის ადგილები არის გალიციაში, რუმინეთში, იტალეთში და ყველა ისინი შეადგენენ მთელი ქვეყნიერების მარაგის მხოლოდ 2%. დანარჩენი პროცენტი ნაწილდება აზიისა და აფრიკის ნავთის ადგილებიან ქვეყნებში და სულ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს ალჟირს. ავსტრალიაში კი ნავთი სრულიადაც არ მოიპოვება.

მთელი ქვეყნიერების ნავთის მარაგი 7 მილიარდ 700 მილიონ ტონას უდრის. ეს მარაგი, თუ მივიღებთ მხედველობაში ნავთის საჭიროების გადიდებას თანამედროვე საქმიანობაში, ს. ს. რ. კ. იკმარებს კიდევ 64 წელს, დანარჩენ ქვეყნებში კი მხოლოდ 22 წლის განმავლობაში, შტატებში კი გამოილევა 7 წელიწადში.

ბუნებრივია, რომ ახლა ადამიანის აზროვნება მუშაობს იმაზე, თუ როგორ მოახერხოს და დაახწიოს თავი ნავთის კრიზისს

ერთის მხრით ცდილობენ, როგორმე სხვა ნივთიერებისაგან მიიღონ ის პროდუქტები, რომლებსაც ნავთისაგან ღებულობენ. ამ მხრით შესანიშნავი აღმოჩენა მოახდინა ამერიკაში მომუშავე გერმანელმა ქიმიკოსმა **ბერგიუსმა.** ბერგიუსმა ნახშირის ნავთად გადაქცევის საშვალება აღმოაჩინა. შემდეგ ამ ხელოვნური ნავთისაგან აკეთებენ იმ პროდუქტებს, რომლებსაც ბუნებრივი ნავთისაგან.

მეცნიერები და ტეხნიკოსები ახლა აპირობენ ბერგიუსის ლაბორატორული ცდები სინჯონ წარმოებებში.

ამას გარდა ცდილობენ ახალი ნავთიანი ადგილები გამონახონ.

ნავთი საქართველოში ამ მოსაზრებით საინტერესოა საქართველოს ნავთიანი ადგილების მიმოხილვა.

ნავთიანი ადგილები არის საქართველოში კახეთში ცხოველის, ზემოხოდაშენის და შირაქის რაიონებში, ჩათახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში და სხვა ადგილებში, ნორიოში, მარტყოფსა და უჯარმაში. გურიაში—სუფსისა და ნატანების რაიონებში.

წარმოებისათვის ნავთი მუშავდებოდა მხოლოდ შირაქის რაიონში. იქ ამოღებულია 1877 წლიდან 1907 წლამდე 1800000 ფუთამდე ნავთი, საშუალოდ 43 ათასი ფუთი წელიწადში. ამოღება ხდებოდა სულ უბრალოდ. თხრიდენ ჭებს. მუშაობა სწარმოებდა ასი დესეტინის ფარგლებში. ნავთიანი ადგილები კი შირაქში 600 დესეტინაზე მეტია.

დანარჩენ რაიონებში მხოლოდ გამოკვლებები ხდებოდა. მეცნიერები-მკვლევარნი, ყველანი იმ აზრისანი არიან, ამ ადგილებში ნავთის დიდი მარაგი უნდა იყოსო.

დიდი ომის დაწყებამდის უცხოელი კაპიტალისტების ამხანაგობა შეუდგა ნავთის დამუშავების საქმეს კახეთში და გურიაში, მაგრამ ომიანობის გამო მუშაობა შეწყვეტილ იქნა.

ახლა ისევ განახლდა ენერგიული მუშაობა ს. ს. ს. რესპუბლიკის ს. მ. უ. ს. მიერ.

პირველად უნდა გაბურღონ მიწა გურიაში სოფ. ომფარეთში. როგორ დაბოლოვდება მუშაობა და რა შედეგი მოჰყვება მას, ამის შესახებ გვექნება მსჯელობა მაშინ, როდესაც საქმე გამოირკვევა.

კ. ლეო.

ჩვენი ცხოვრება და მუშაობა

ექსკურსია ბორჯომში.

ს. ახალდაბა.

ახალდაბის ნ. პ. ბ. კ. ორგანიზაცია ერთ-ერთ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენს ჩვენს რაიონში. ორგანიზაციული მუშაობა სრულ სიმაღლეზე დგას, ადგილობრივი ა. ლ. კ. კავშირის უჯრედების შემწეობით, და რაზმავს ღარიბ მუშათა და გლეხთა 180 ბავშს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელნი იმ მიზნით, რომ ორგანიზაცია გააცნონ სხვადასხვა წარმოებანი და მშენებლობას, აწყობენ ექსკურსიებს. სწორედ ასეთი ექსკურსიების თვალსაჩინო მაგალითად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ექსკურსია ბორჯომის წარმოებებში.

4 მაისია. დღეს პიონერები მწყობრი რიგებით დარაზმული უნდა გაემგზავრონ ბორჯომში.

8 საათია. საყვირის ხმამ გამოაღვიძა მიძინებული ბავშები. ესენი ფიცხლად წამოხტდენ, გამოეწყვენ და შეგროვდენ სადგურზე. მატარებელიც მოვიდა, დაიკავეს ერთი ვაგონი და გაჰქროლეს ბორჯომისკენ.

მატარებელი შეჩერდა. ჩარხის წყალზე ვართ. აქ უნდა დავათვალიეროთ საკასრე ქარხანა. გადავდივართ ძირს, ვიჭერთ ჩვენ-ჩვენს ადგილს და მივდივართ აღნიშნულ ადგილს. ხელმძღვანელი ქარხნის დათვალიერების ნებას იღებს. შევდივართ. განცვიფრება ერთმანეთში ირევა. მაქანების გუგუნი, ხის ხრიალი, ხმაური, ახსნა-განმარტება სიხარულს ჰბადებს ჩვენს ნორჩ გულში „აქედან მივემგზავრებით ბაღში და ვიღებთ სურათებს. რგოლის ხელმძღვანელნი ცალკე, პიონერები ცალკე და ოქტომბრელთა ჯგუფი ცალკე. საღამომაც მოატანა. ჩავსხედით მატარებელში და გახარებულნი, შთაბეჭდილებით აღვსილნი ვბრუნდებით შინისაკენ.

ტყეებში ... ხალხის მიმოსვლა აღმაფრენის ღიმს ათამაშებს ნორჩთა სახეზე. ვუცქერით მანქანებს. ქარხნის მართველნი ყველაფერს გვიხსნიან. შთაბეჭდილებას უბის წიგნებში ვიწერთ.

ყველაფრის დათვალიერების შემდეგ დიდად მადლიერნი და გახარებულნი მივემგზავრებით ბორჯომისკენ, აქ გვსურს დავათვალიეროთ მჟავე წყლის ქარხანა. მანქანები, ბოთლების მოძრაობა, ხალხის

ვისურვებთ ასეთი ექსკურსიების ხშირად მოწყობას.

პავლე კ. ბლიაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ემზადებიან კაპიტალისტური ქვეყნები ომისათვის.

იმას, ვინც გულდასმით ადევნებს თვალყურს იმას, თუ რა ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში, არ შეუძლია აშკარად არ დაინახოს ყოველმხრივ გაძლიერებული მზადება და მუშაობა ახალი ომისათვის.

ჩვენი ნორჩი თაობაც—პიონერები—კარგად უნდა იცნობდენ ამ საკითხს, ისინიც გაფაციცებით უნდა ადევნებდენ თვალყურს ყოველივე იმას, რაც ხდება ამ დარგში.

რამოდენიმე წერილში ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან კაპიტალისტური ქვეყნები ახალი ომისათვის, რომელიც უმთავრესად ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების—საბჭოთა წესწყობილების—წინააღმდეგ იქნება მომართული, და როგორ უნდა ვემზადოთ ჩვენც, რომ სათანადოდ გავუმასპინძლდეთ ჩვენს კლასიურ მტრებს.

უპირველეს ყოვლისა, კაპიტალისტური მთავრობები ცდილობენ მიახწიონ იმას, რომ მათი სახელმწიფოს მშრომელნი სხვა ქვეყნის მუშებსა და გლეხებში ხედავდენ არა თავის ძმებს, არამედ მტრებს და თავისი სახელმწიფოს მუშებსა და გლეხებს უცხოელების წინააღმდეგ ყოველის გზით უნერგავენ იმ აზრს, რომ აუცილებელია თავისი კაპიტალისტების ინტერესების დაცვა, რომ მზად იყონ იბრძოლონ იმათ წინააღმდეგ ვის წინააღმდეგაც მათ გაგზავნიან. მოკლედ, მშრომელნი მასებს წვრთნიან ისე, რომ შემდეგ, როგორც წარსულ ომში ხდებოდა, ბრმად წავიდენ ფრონტზე და იქ დაიღუპონ. ამ საქმეში კაპიტალისტებს მოღალატე სოციალისტებიც ეხმარებიან.

ამასთან ერთად მთავრობები ყოველის მხრით ხელს უწყობენ სპორტს, აწყობენ სავარჯიშო საზოგადოებებს. ეს ორგანიზაციები ბევრ სახელმწიფოში, მაგ., პოლონეთში, ატარებენ აშკარა სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს. იქ ითრევენ ხალხს იმიტომ, რომ მოხალისე—სპორტსმენისაგან შეჰქმნან მომავალში კაპიტალისტური „სამშობლოს“ მხედარი—დამცველი.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საზღვარგარეთ მრეწველობის ეგრეთწოდებულ მილიტარიზაციას. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ერთის მხრით არის ფართოდ მოწყობილი, ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად, სამხედრო ქარხნები, რომელთაც შეუძლიათ უთვალავი იარაღისა და სასიკვდილო მასალის დამზადება, მეორე მხრით, კერძო მრეწველობა ზედმიწევნით არის ნავარაუდევი სამხედრო გეგმის თანახმად, ასე რომ ყველა კერძო ქარხანას და საერთოდ არასამხედრო ქარხანას შეუძლია სამხედრო საწარმოო გახდეს. აი მაგალითი:

ამას წინათ ამერიკაში იდღესასწაულეს იმ დღის იუბილე, როცა ამერიკა ჩაერია წარსულ ომში. მთავრობამ სცადა გამოერკვია, ამერიკული მრეწველობა რამდენად მზად იყო ომისთვის. დილის 6 საათზე ფაბრიკებში, ქარხნებში და სხვა საწარმოებში გაგზავნილ იქნა დეპეშები მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. 6 საათის შემდეგ შეიარაღების საქმეთა მინისტრს უკვე ჰქონდა 500-ზე მეტი საწარმოდან დეპეშით გამოგზავნილი მოხსენება, რომ ისინი უკვე შეუდგენ სამხედრო საგნების მზადებას, თანახმად იმ საიდუმლო გეგმებისა, რომლებიც მათ მოეპოვებოდათ. ამას გარდა, 200 დე საწარმომ მოახსენა, რომ საპასუხო დეპეშის გამოგზავნასთან ერთად ისინი იწყებენ სამხედრო წარმოებას. ამის შემდეგ დეპეშით გაუქმებულ იქნა მობილიზაცია.



ტანკა.

რომ დავრწმუნდეთ იმაში, თუ როგორი გამოჩენილი სამეცნიერო ძალები არიან ჩაბმული იარაღებისა და სხვა სამხედრო საშვალებათა გამოგონების საქმეში, საკმარისია გადავათვალიეროთ უცხოეთის არა მარტო სამხედრო, არამედ სხვა ჟურნალებიც. დღითი-დღე სამეცნიერო კაბინეტებში, ლაბორატორიებში, გამოსაცდელ სადგურებში და სხვაგან გულდასმით მუშაობენ სწავლულნი, ხშირად სრულიად არასამხედრო პირები, რომლებიც იგონებენ სასიკვდილო და გასანადგურებელ ახალ იარაღებს. რაც შეეხება სახელმწიფო დაწესებულებების გასამხედრო-

ებას, არც ეს არის მივიწყებული და სამხედრო წარმომადგენლები მონაწილეობენ მშვიდობიანი დროის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში. აქ ისინი იცავენ სამხედრო ინტერესებს. ასევე ტარდება საყოველთაო სამხედრო სწავლება. ის სწარმოებს სხვადასხვაგვარად. ზოგიერთ სახელმწიფოში შემოღებულია სამილიციო სისტემა, ამასთან სამხედრო სამსახურისთვის ამზადებენ 8 წლის ასაკის სკოლის ბავშებსაც-კი! ზოგან, მაგალითად, ინგლისში, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები იღებენ მეთაურთა მომზადებას, ასე რომ სტუდენტების სახით ინგლისის მთავრობას ჰყავს სხვადასხვა სამხედრო სპეციალობის ჯარის მეთაურები.

მაშასადამე, ყველგან—ლიტერატურაშიც, მთავრობის სხვა ღონისძიებებშიაც, არა მარტო სამხედროში, არამედ სხვა დარგშიაც შეგვიძლია შევამჩნიოთ სამხედრო მუშაობა, მზადება მომავალი ბრძოლისთვის, რომ სახელმწიფო ძლიერი იყოს მოწინააღმდეგეზე ჯარის რაოდენობით, შეიარაღების ხარისხითა და რაოდენობით, საერთოდ მთელი სახელმწიფოს მომზადებით, რომ მედგრად აწარმოოს შეიარაღებული ბრძოლა.

უკანასკნელი ცნობებით, კაპიტალისტურ ევროპას თოფ ქვეშ ჰყავს ამჟამად 4 მილიონზე მეტი ჯარისკაკი, ე. ი. ერთი მილიონით მეტი იმაზე, რაც ჰყავდა მსოფლიო ომამდე. კაპიტალისტებს ჰყავს, ან ასეთად ითვლება, სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგი მთელი მოსახლეობა. ზოგან აღრიცხვაზეა აყვანილი ქალები და ეწყობა მათი ორგანიზაციები.

ჯარები გარდაქმნილია იმასთან შედარებით, რაც იყო წარსული მსოფლიო ომის დროს. რადგანაც მოხდა ტეხნიკის განვითარება, ამიტომ გაუმჯობესდა იარაღი, ამან თავის მხრით ზარალის შესამცირებლად და იარაღის უკეთ მოსახმარებლად გამოიწვია მებრძოლი ნაწილების სხვანაირად მოწყობა. ჯარების, როგორც ახლა ამბობენ, **გამანქანება** (მაშინიზაცია) ხდება. ასეთ გამოთქმაში ის შინაარსია, რომ ჯარს მეტი და მეტი ეძლევა ავტომატიური იარაღი: ხელით მოსახმარი ტყვიისმფრქვეველი (თოფი — ტყვიისმფრქვეველი), მძიმე ტყვიისმფრქვეველი, სხვადასხვა ხელსაწყო საწამლავი გაზებისთვის და სხ.

სხვა ცნობები შემდეგ წერილში.



უკანასკნელი ტიპის ზარბაზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ ა დ რ ა კ ი



ჭადრაკი ძალიან საინტერესო თამაშია. ის ადამიანს სიფრთხილეს, წინდახედულებას აჩვევს; თუ სადმე მართლდება თქმა—ასჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერო, ეს უპირველეს ყოვლისა ჭადრაკის თამაშშია გამართლებული.

ჭადრაკი ადამიანში ანვითარებს დაკვირვების უნარს, ამახვილებს გონებას, ხასიათს აკაჟებს, სიმტკიცეს ჰმატებს.

ლამაზად ნათამაშევი ხელი, გაბედული და რთული კომბინაცია, უეცარი იერიში ან და მოხერხებული თავდაცვა—ისეთსავე სიამოვნებას განაცდევინებს, ისევე ხიბლავს ადამიანს, როგორც საამო მუსიკის მოსმენა, ნიჭიერი მსახიობის მზერა, ან და კარგი მხატვრული თხზულების წაკითხვა.

ჭადრაკის სამშობლო აღმოსავლეთია, კერძოთ ინდოეთი. როდის გამოიგონეს იგი, სავსებით გამორკვეული არ არის. ზოგის ფიქრით, ის ძველთაძველ დროს არის წარმოშობილი (ამბობენ, რომ ჭადრაკი არსებობს 6,000 წელიწადი), მაგრამ, ამ ბოლო დროის გამოკვლევების მიხედვით, ჭადრაკი დაახლოვებით ქ. წ. მესამე საუკუნის ამბავი უნდა იყოს.

ეხლა გადავიდეთ უკვე ჭადრაკის თამაშის გაკვეთილზე.

1-ლი გაკვეთილი.

რუკა და კოჭები.

ჭადრაკის რუკა (დაფა, ფიცარი) წარმოადგენს სწორ ოთხკუთხედს, რომელიც დაყოფილია შავ და თეთრ **პატარა** სწორ ოთხკუთხედებად—**უჯრებად.** ეს ორი ფერი ერთიმეორეს სცვლის. ამგვარად რუკა იყოფა რვა-რვა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ რიგად. თვითეულ რიგში რვა-რვა უჯრაა, ასე რომ მთელი რუკა შესდგება 32 თეთრი და 32 შავი უჯრისაგან (იხ. დიაგრ. № 1)



დიაგრ. № 1.

თამაშის დროს რუკა ისე უნდა დაიდოს, რომ კუთხის თეთრი უჯრა ორივე მოთამაშის მარჯვენა მხარეს მოდიოდეს.

თვითეულ უჯრას თავისი პირობითი აღნიშვნა აქვს, რომელიც შემდეგ წესს ემყარება: ვერტიკალური რიგები აღინიშნება ლათინური ასოებით; a, b, c, d, e, f, g, h, ხოლო ჰორიზონტალური—ციფრებით: 1,2,3,4,5,6,7,8.

იმ მხარეზე, სადაც თეთრი კოჭები აღაგია, მარცხენა კუთხის **უჯრიდან** იწყება ასოებითა და ციფრებით აღნიშვნა (იხ. დიაგრ. № 2). თითო ასო მარტო ერთ უჯრას როდი მიეკუთვნება; იგი მიეწერება ყველა დანარჩენ შვიდ უჯრას, რომელიც ვერტიკალურ ხაზზე დევს, ასე რომ თითო ასოთი რვა-რვა უჯრა აღინიშნება.



დიაგრ. № 2.

ასევე თვითეული ციფრი მიეკუთვნება ყველა უჯრას, რომელიც ჰორიზონტალურ ხაზზე დევს. ასოსა და ციფრის შეერთება ერთი რომელიმე უჯრის საკუთარ სახელს წარმოადგენს.

a 1 მთელ 64 უჯრაში ერთია მხოლოდ, ისევე როგორც a 8, b 3, f 5 და სხვა. ამა თუ იმ უჯრის აღსანიშნავად უნდა დაიწეროს ჯერ ასო და შემდეგ ციფრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1927 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „პიონერი"-ს და „ნაპკადული"-ს რედაქცია.

ელსმენი—23—16

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—9/VI—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 1064. შეკვ. № 994/6965 ტირაჟი 1000.